გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№109 (1004) 10 - 11 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მოითმინე, არ მოკვდე — სასწრაფოს დააგვიანდება!



რატომ იგვიანებს სასწრაფო გვ. 8

# არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ალექსი პეტრიაშვილთან



## „გიგი უგულავას მეგობარი ტამბოვის მგელი იყოს!“

რისთვის ემზადება ალასანიას გუნდი და ვინ დაარქვა ორი სახელი ექსმინისტრს

## „ბურჯანაძე სიხარულისგან ბრწყინავს!“

გვ. 4–5

## შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილი ნაციონალებს გაურიგდა!“



ლეიბორისტების ლიდერი პრემიერს ლებაცებში იწვევს და თეთრისა და შავის პირდაპირ ეთერში გარკვევას ჰპირდება გვ. 3

## ქართველი პატიმრის ცოლი ბერძნული „ფლეიბოის“ ვარსკვლავი გახდა



გვ. 8

პატიმრის დღიური

## „პრივატბანკის“ სახელფასო სკანდალი

გვ. 6

## სწავლების ინოვაციური მეთოდი „გორგასალში“

რა სიახლეებს სთავაზობს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს გვ. 7

## „ბრინჯაოდან თიხისამდე“ თიბისი არტ გალერეა ისტორიული ხალთების გამოფენას მასპინძლობს

გამოფენის მიზანი უნიკალური კოლექციის პოპულარიზაცია და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დახმარებაა გვ. 6

## ბიძინა ივანიშვილი: „ბოლო ორ წელში ერთი პრეცედენტიც არ არსებობს, რომ შსს ვინმეს უკანონოდ უსმენს!“



ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის აზრით, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით ე.წ. გასაღების საკითხის გადაწყვეტისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი არ უნდა დაკნინდეს.

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ.

**„როცა საუბარი მიმდინარეობდა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს კონსტიტუცია ან ესა თუ ის კანონი, ყოველთვის ვამბობდი – არ გამოიგონოთ ახალი ველოსიპედი, 2-3 ევროპული ქვეყანა მაინც დამისახელეთ, სადაც მსგავსი რამ არსებობს-თქო. სხვანაირად თემის განხილვასაც არ ვიწყებდი. ამ შემთხვევაშიც, საქართველომ არ უნდა გამოიგონოს ახალი ველოსიპედი, სად უნდა იყოს გასაღები. საქართველომ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ვარიანტი იქიდან, რისი პრაქტიკაც არსებობს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მობილურ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ ე.წ. გასაღები. სხვათა შორის, ამის პრეცედენტი უფრო მეტია, ვიდრე იმის, რომ გასაღები შსს-ს ხელში იყოს, თუმცა პრაქტიკაში ამ უკანასკნელის მაგალითებიც არსებობს. ასე რომ, არჩევის საშუალება არის, თუმცა ნუ გვავიწყდება რომ ძალიან რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. შსს-ს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ბალანსი უნდა არსებობდეს. დღეს მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავთ, მათ შორის ვერც ამერიკას და ვერც ევროპის განვითარებულ სახელმწიფოს, სადაც მოქალაქეს არ ჰქონდეს მსგავსი შფოთვა, რომ უსმენენ. ეს პრობლემები არ არის იქაც უკეთ, ვიდრე ჩვენთან. ე.ი. ამ მხრივ საქართველო არ არის უარესი“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის მტკიცებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში არც ერთი პრეცედენტი არ არსებობს, რომ შსს ვინმეს უკანონოდ უსმენს:

**„ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ შსს-ს, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა, იზრუნოს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. ჩვენთან დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია, რეგიონი ძალიან მძიმე, ამიტომ, როცა ხელაღებით ამბობ, რომ შსს-მ შენს ჭკუაზე გაიაროს, იქ ეჭვები ჩნდება, რომ გინდა მისი დაკნინება, ამ დროს შსს ძალიან ეფექტურად მუშაობს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

## ანტიკორუფციულმა სააგენტომ სამსახურებრივ სიყალბეში ორი პირი ამხილა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამსახურებრივი სიყალბის, თაღლითობაში დახმარების, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და თაღლითობის ფაქტზე ამხილეს ხულოს რაიონის მუნიციპალიტეტის რიყეთის თემის რწმუნებული თემურ კოჩალიძე და ინდმეწარმე როლანდ შავაძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 2 და 13 დეკემბერს, ხულოს მუნიციპალიტეტმა ინდმეწარმე როლანდ შავაძეს გაუფორმა ორი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს უნდა შეეძინა 8 000 ლარის ღირებულების სარიტუალო ინვენტარი და 5 802 ლარის ღირებულების ლითონის მილები. მიუხედავად იმისა, რომ როლანდ შავაძეს საერთოდ არ ჰქონდა შეძენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხულოს რაიონის მუნიციპალიტეტის რიყეთის თემის რწმუნებულმა თემურ კოჩალიძემ 2013 წლის 20 დეკემბერს შეადგინა ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი, საქონლის სრულად მიწოდების შესახებ, რის შედეგადაც როლანდ შავაძე მოტყუებით დაეუფლა ხულოს მუნიციპალიტეტის კუთვნილ თანხებს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გამოძიება მიმდინარეობს სამსახურეობრივი სიყალბის წაქეზების, თაღლითობის, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, თაღლითობაში დახმარების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 25-341-ე მუხლით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 25-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული დანაშაული, სასჯელის სახით, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 დან 7 წლამდე). გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

***„ვერსიანიუსი“***

## მართვის მოწმობების 3D ბილეთების პრეზენტაცია გაიმართა



შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზურაბ ზუბადალაშვილმა და სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს უფროსმა იმედა მაკასარაშვილმა ჟურნალისტებს ახალი, 3D ბილეთები წარუდგინეს.

მომსახურების სააგენტოში მართვის მოწმობის მიღების მსურველები თეორიულ გამოცდას მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან ახალი, 3D ბილეთებით ჩააბარებენ. ახალ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რომელთა საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს ვითარების უკეთ აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტო-ვიდეომასალა. ამასთან, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან ნახვა. თეორიული გამოცდის ახალი ტესტების ელექტრონულ ვერსიაში საგამოცდო ტესტის სწორი და არასწორი პასუხების ნუმერაცია შეიცვლება, რაც საგამოცდო ბილეთების მექანიკურად დამახსოვრებას გამორიცხავს.

ახალი ბილეთებით გამოცდის ჩაბარება ქართულ, ოსურ, აფხაზურ, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და სომხურ ენებზეა შესაძლებელი. დაინტერესებულ პირებს განახლებული ბილეთების ნახვა შსს-ს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე sagency.ge-ზე შეუძლიათ.

საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას სხვადასხვა სფეროში. მართვის მოწმობის გაცემისა და გამოცდების ჩაბარების წესში ცვლილებები ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივის მიხედვით განხორციელდა. საგზაო მოძრაობის შესახებ უსაფრთხოების კანონი, რომლის მიხედვითაც შექმნილი იყო ძველი საგამოცდო ბილეთები, 2013 წლის დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა. იმავე დღეს ამოქმედდა ახალი კანონი, რის მიხედვითაც ახალი ბილეთები შეიქმნა.

***„ვერსიანიუსი“***

## 10 000-მდე დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი დაუკანონდება



ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ახალი პროექტი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც 10 000-მდე დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი დაუკანონდება. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროექტი, რომელიც მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა, 1 ნოემბრიდან დაიწყო და 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნება დევნილთა 815-მდე ჩასახლება. პროექტი ორ ეტაპადაა დაყოფილი. პირველ ეტაპზე, 2 თვის განმავლობაში, მოხდება დევნილთა ჩასახლებების შესწავლა. მეორე ეტაპი, რომელიც 8 თვეს გაგრძელდება, დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის წარმატებით განსახორციელებლად სამინისტრომ დროებით 64 ახალი თანამშრომელი აიყვანა. კადრების შერჩევა ღია კონკურსის წესით განხორციელდა. შერჩეული კანდიდატები მუშაობას ორდღიანი ტრენინგის გავლის შემდეგ დაიწყებენ.

***„ინტერპრესნიუსი“***



## შსს-ს აკადემიაში მიგრანტთა უფლებებზე ტრენინგი ჩატარდა

შსს-ს აკადემიაში, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის –„საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში“ ფარგლებში, მიგრანტთა უფლებების თემაზე ტრენინგი ჩატარდა. სწავლებას უძღვებოდა ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან ადრიან ლოქსტონი. პროექტს „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 2014 წლიდან ახორციელებს.

სწავლებაში მონაწილეობა მიიღეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, მიგრაციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებმა. ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

სწავლების მიზანი იყო მონაწილეთა ინფორმირება მიგრანტთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ და მათი ეფექტურად განხორციელება საზღვარზე და ქვეყანაში.

ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადაეცა.

***„ვერსიანიუსი“***

## გერმანიაში ბერლინის კედლის დანგრევის 25 წლისთავი აღნიშნეს



გერმანიის დედაქალაქში ბერლინის კედლის დანგრევიდან 25 წლის იუბილე აღნიშნეს. გერმანელებმა კედლის ადგილას, მემორიალურ კომპლექსთან ყვავილები მიიტანეს.

ღონისძიებაში სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ანგელა მერკელიც მონაწილეობდა.

ჩატარდა ღვთისმსახურება იმ ადამიანთა სულების მოსახსენიებლად, რომლებიც კედლის გადალახვის პროცესს შეეწირნენ.

დღესასწაულის კულმინაცია ბრანდერბურგის ჭიშკართან გალაკონცერტი იყო, რომელიც 7 ათასი მანათობელი ბურთის გაშვებით დასრულდა, რაც ბერლინის კედლის დაცემის სიმბოლოა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## სპორტსმენი გურამ გუგენიშვილი ავტოავარიაში დაიღუპა



ავტოსაგზაო შემთხვევას M-1 Challenge-ის პირველი ჩემპიონი მძიმე წონაში, 28 წლის გურამ გუგენიშვილი ემსხვერპლა.

გუგენიშვილი უნივერსალური ორთაბრძოლებით ხუთი წლის წინ დაკავდა. მან 2 წელიწადში 11 ბრძოლა მოიგო და მოიპოვა M-1 Ukraine, M-1 Selection Western Europe და M-1 Challenge-ის ქამრები.

ამჟამად მას კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული იაპონიის IGF-სთან, მომავალ წელს კი ისევ აპირებდა M-1-ში დაბრუნებას.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

რუსუდან შელია
557-100-768

# შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილი ნაციონალებს გაურიგდა!“



## ლეიბორისტების ლიდერი პრემიერს დებატებში იწვევს და თეთრისა და შავის პირდაპირ ეთერში გარკვევას ჰპირდება

**ლეიბორისტული პარტიის უცვლელი ლიდერი შალვა ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილისა და ნაციონალების პოლიტიკურ გარიგებაზე საუბრობს და მის ჩასაშლელად ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. სახელისუფლო კრიზისის ფონზე, კიდევ რომელ პოლიტიკურ ძალას აწყობს ახალი არჩევნები, ან ვინ არის მზად არჩევნებზე გამარჯვების მოსაპოვებლად, რამდენად მისაღებია ოპოზიციისთვის ირაკლი ალასანიას ფიგურა და რას შეცვლის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამ ფლანგზე? — „ვერსია“ გთავაზობთ ლეიბორისტული პარტიის ლიდერთან, შალვა ნათელაშვილთან ინტერვიუს.**

— ქართულ პოლიტიკაში შექმნილი რეალობა მმართველი ძალის დასასრულს მოასწავებს. პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გამოიკვეთა, მხოლოდ ვადამდელი არჩევნების დანიშვნით გადაწყდება. ასეთ ვითარებაში სხვა რეცეპტი არ არსებობს.

— **რამდენად მისაღებია ირაკლი ალასანია ოპოზიციისთვის ან რას შეცვლის ამ ფლანგზე თავდაცვის ყოფილი მინისტრი?**

— ეს კონკრეტული საქმიანობით უნდა გამოიხატოს. რომ გითხრათ, ოპოზიციაში ირაკლი ალასანია ყველაფერს თავდაყირა დააყენებს-მეთქი, სწორი არ იქნება. მოვლენებს უნდა დავაკვირდეთ.

საზოგადოებას ადრეც ვაფრთხილებდი, ვიდრე კოალიციას ივანიშვილის მიერ ჩამორიგებული დოლარები ეყოფა და მადა არ გაეზრდება, პარტიები ერთად იქნებიან, მერე კი ერთმანეთს დაჭამენ-მეთქი. კოალიციაში, ფულის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია — ივანიშვილმა კოალიცია პრორუსული და პროამერიკული ნიშნით დააკომპლექტა და შეუთავსებლის შეთავსება მოინდომა, რაც თავს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იჩენდა, რადგან პროდასავლურ ძალებს სხვა მიზნები აქვთ, პრორუსულებს — სხვა. ამ პარტიების ლიდერებს ფულის სანაცვლოდ, საკუთარი ინტერესების დათმობის სურვილი რომც გაუჩნდეთ, მათი პატრონები კომპრომისს არ დაუშვებენ. მსოფლიოში რთული გეოპოლიტიკური ვითარებაა, დაუნდობლად იბრძვიან გავლენის მოსაპოვებლად, რომლის პრინციპებიც ამ ჯგუფებზეც ვრცელდება.

— **თქვენი აზრით, ირაკლი ალასანია პრორუსულ ინტერესებს შეეწირა თუ პოლიტიკურ ამბიციებს?**

— ორივეს. კრემლის კანდიდატურებს მინისტრის პოსტზე ირაკლი ალასანია აღიზიანებთ და არ ენდობიან. მოგეხსენებათ, 90-იანი წლების შემდეგ, რუსეთის მთავარი ამოცანა ძალოვან სტრუქტურებში საკუთარი კადრების დანიშვნა იყო. 1997 წლამდე საქართველოში ძალოვანი სტრუქტურები რუსეთის კადრებით კომპლექტდებოდა: ნადიბაიძე, კვირაია, იგორ გიორგაძე. 1997 წლის შემდეგ, ეს პოსტები პროამერიკულებმა ჩაანაცვლეს. ახლა რუსეთს უკუპროცესის დაწყება და საკუთარი კადრების დანიშვნა სურს. ეს არის წინააღმდეგობის მიზეზი.

— **ქვეყანაში რუსეთის ინტერესები ძლიერდება?**

— რა თქმა უნდა, შეხედეთ, რამდენი პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა, რუსული გზების გაყვანაც დაიწყო და ა.შ. ეს საერთო კომპლექსში განსახილველია, ასე რომ, ისევ რთულ ეტაპზე ვართ, მთავრობა კი, პრიმიტიულად იქცევა.

— **2008 წელს, როცა ნაციონალური მოძრაობის რიგები დატოვა, მოგვიანებით კი გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდა, ირაკლი ალასანია თქვენთვის მიუღებელი იყო, დღეს კი მისაღებია. ამას რით ხსნით?**

— როცა საქმე ქვეყნის ინტერესებსა და წინსვლას ეხება, ყველასთან ვთანამშრომლობთ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ნაციონალებსა და „ქართულ ოცნებას“ არ ვგულისხმობ. ასე რომ, ირაკლი ალასანია გამონაკლისი არ იქნება. ხელისუფლებას აგონია აქვს, ახლა მასზეა დამოკიდებული, ამ აგონიას გაიხანგრძლივებს თუ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს. რეალურად, საპარლამენტო უმრავლესობა დაიშალა. კოალიციას აღარ აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი და შესაძლებლობა, ვეტოს დადების შემთხვევაში, ბარიერსაც ვერ გადალახავენ, ვერც კანონს მიიღებენ და ვერც ბიუჯეტს დაამტკიცებენ.

— **საპარლამენტო უმრავლესობას ახლა დამოუკიდებელი მაჟორიტარების იმედი აქვს, რესპუბლიკელებიც კოალიციაში რჩებიან. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საფუძველი რა შეიძლება გახდეს?**

— რესპუბლიკელები კოალიციას აუცილებლად დატოვებენ, ეს მხოლოდ დროის საკითხია. დამოუკიდებელი მაჟორიტარები კი იმის მხარეს დადგებიან, ვინც მეტ თანხას შესთავაზებს. ისინი ბანდიტები და ყაჩაღები არიან, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკის დაბალანსებას ვერასოდეს შეძლებენ.

— **ეს პროცესი ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნების საწინდარია?**

— ნაციონალური მოძრაობა ამ შემადგენლობით ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდება, მაგრამ, თუ ფერს შეიცვლის და ახალ კოალიციას შექმნის, დაბრუნების საშიშროება გაიზრდება. ეს საფრთხე კი, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკამ შექმნა. მეორე მხრივ, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ საკუთარი მილიარდები დაიცვას და ბიზნესი განავითაროს.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა გარანტიები უკვე მიიღო და ახლა საზოგადოება შეთანხმებულ თამაშს ადევნებს თვალს?**

— ამას დრო გამოაჩენს, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, ბიძინა ივანიშვილი, შალვა ნათელაშვილის გარდა, ყველასთან გარიგდება. ამიტომაც ვადამდელი არჩევნების დანიშვნა აუცილებელია.

— **რომელი პოლიტიკური ძალაა დღეს საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად?**

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხალხს აწყობს, რათა „ნაციონალური ოცნების“ კლანჭებიდან, ერთხელ და სამუდამოდ, გამოვიდეთ. ახლა ისეთი პროცესები დაიწყო, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია, უბრალოდ, ორი ვარიანტია — ეს პროცესი გაიწელება ან კოალიცია პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. სამართლებრივად ვადამდელი არჩევნების დასანიშნად რამდენიმე ბიუჯეტი უნდა ჩავარდეს და მთავრობა არ დამტკიცდეს, რაც, ისედაც პოლიტიკური კრიზისის ფონზე, ქვეყნისთვის საშიში პროცესი იქნება, თუმცა, თუ კოალიციის ლიდერები პოლიტიკურ სიბრძნეს გამოიჩენენ და ჩეხ დეპუტატებს მიბაძავენ, რომლებმაც ცოტა ხნის წინ თვითდაშლის პროცესი გამოაცხადეს და პოლიტიკური კრიზისი ახალი არჩევნების დანიშვნით განმუხტეს, პოლიტიკურ აგონიას თავიდან ავიცილებთ.

— **ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე 15 ნოემბრის აქცია და ხელისუფლების მიერ დაანონსებული პროვოკაციებია „გადასაგორებელი“. ნაციონალების აქციაზე ალასანიას გუნდს ელით?**

— ნაციონალურ მოძრაობას თვითგადარჩენის პრობლემა აქვს, მაგრამ მის მიერ ორგანიზებულ აქციას რეკლამას მთავრობა უკეთებს, არიქა, მიტინგია, მიტინგიო! ჩაატარებენ მიტინგს და ჩაატარონ, რა პრობლემაა? პროვოკაციის მოწყობა მიტინგის გარეშეც შეიძლება და მიტინგზეც — ეს სხვა პრობლემაა, რომელსაც როგორც აქციის ორგანიზატორებმა, ისე საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მიხედონ. ვინ უნდა შეუერთდეს ნაციონალების აქციას? — ვინც უერთდება, მათზე ვერ ვისაუბრებ, თავად აგონ პასუხი, მაგრამ სააკაშვილმა და ივანიშვილმა კოდორი და ახალგორიც ერთად დაკარგეს. „ვარდების რევოლუციაც“ ივანიშვილმა დააფინანსა, ამიტომ როგორც სააკაშვილმა, ისე ივანიშვილმაც პასუხი უნდა აგოს. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ბლეფია.

ნაციონალებს შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, რევოლუციაზეც წავიდოდნენ, მაგრამ ამის ძალა არ აქვთ. ასე რომ, 15 ნოემბერს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ირაკლი ალასანიას გეგმებზე არ მაქვს ინფორმაცია. შემიძლია ლეიბორისტულ პარტიაზე გითხრათ. მეტი ფინანსები რომ გვქონდეს და არჩევნები არ გაგვიყალბონ, იცით, ვინ მოვა ხელისუფლებაში?

— **თქვენ?**

— რა თქმა უნდა! როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, ამ მთავრობიდან არც ერთს გავახარებ და ეს კოალიციაში კარგად იციან.

— **ამას ამბობს პარტიის თავმჯდომარე, რომლის საარჩევნო რეიტინგიც, ბოლო 10 წლის განმავლობაში, 3%-ს ვერ სცდება!**

— ამიტომაც ვთქვი, რომ არჩევნებს აყალბებენ... ხალხმა, ერთხელ და სამუდამოდ, ყურები უნდა გამოიბერტყოს და მიხვდეს, რომ პარტიული ბლოკები დიდი ბოროტება და საშოვარზე გამოსული ბანდიტების კრებულია! ხმა კონკრეტულ პარტიას უნდა მივცეთ, რომელსაც მყარი პოლიტიკური იდეოლოგია აქვს. ასეთი კი, დღეს მხოლოდ ლეიბორისტული პარტიაა.

— **ირაკლი ღარიბაშვილმა მიხეილ სააკაშვილი თქვენთან გააიგივა, სააკაშვილის და ნათელაშვილის განცხადებები სერიოზულად არ უნდა აღვიქვათო. არ ეთანხმებით?**

— ქვეყანა თავზე ენგრევათ, მაგრამ ნათელაშვილი მაინც ახსოვთ. ამ სიტყვების გამო პრემიერს ტელედებატებში ვიწვევ. ზურგსუკან ლაპარაკს პირისპირ საუბარი აჯობებს, პირდაპირ ეთერში გავარკვიოთ თეთრი და შავი. როგორც ჩანს, რაღაცაზე ნერვიულობენ... გრძნობენ, რომ მათი კლასობრივი მტერი ვარ, ამიტომ ნაციონალებზე მეტად ვეჯავრები.

## ვერსიანიუსი



### ქუთაისთან მომხდარ აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა

ქუთაისის მახლობლად, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში, სადაც ცენტრალური ავტომაგისტრალი გადის, აფეთქება მოხდა, რისი მიზეზიც, წინასწარი ინფორმაციით, ბუნებრივი აირი გახდა.

აფეთქება სათამაშო კლუბ „ევრობეთთან“ ახლოს მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წყალტუბოში მომხდარ აფეთქებაზე გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

***„ინტერპრესნიუსი“***

### საფრანგეთი რუსეთისთვის „მისტრალის“ გადაცემის გადაწყვეტილებას მალე მიიღებს

ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“, ფრანგულ დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

**„საფრანგეთის გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა ველოდეთ“,** — აცხადებს წყარო.



გასულ კვირას რუსეთის ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, რომ მოსკოვმა საფრანგეთისგან ოფიციალური მიწვევა მიიღო 14 ნოემბერს „მისტრალის“ პირველი ვერტმფრენმზიდის გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა, იმავდროულად, საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა, მანუელ ვალსმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის „მისტრალის“ მიწოდების პირობები ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ალექსი პეტრიაშვილი: „ოცნებიდან“ ხელცარიელები არ წამოვსულვართ!..“



## რისთვის ემზადება ალასანიას გუნდი და ვინ დაარქვა ორი სახელი ექსმინისტრს

ვანო პავლიაშვილი

**...ჯერ იყო და, ცხონებული ედუარდ შევარდნაძის ინტონაციით გაგვაფრთხილა, დიქტატურა მოდის, დემოკრატია საფრთხეშია და გადავდექიო; მერე, მესამე პარტყრილობაზე სულ ფეხბურთის ენით ი..., ხელისუფლებავ, მოედანი შენია, სავარაუდოდ, მთავარი მსაჯიც, მაგრამ ბურთი მრგვალიაო... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პოლიტიკაში დიპლომატიიდან მოსულ ევროინტეგრაციის ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, როგორც მისი პარტიული ბოსი ამბობს, მაღალინტელექტუალური იუმორი აქვს, თუმცა ძველი ნათქვამია, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, სიმართლის მარცვალი არ ერიოსო... ასე და ამგვარად, „ვერსია“ ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილს წარმოგიდგენთ. ისე, თუ გაინტერესებთ, რატომ ჰქვია ორი სახელი, წინამდებარე არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ აუცილებლად ბოლომდე უნდა წაიკითხოთ. მაშ ასე, ვიწყებთ.**

**— ბატონო ალექსი, იმ ემოციების დროს, შევარდნაძე რამ გაგახსენათ?**

— ფონი, მართლაც, ძალიან ემოციური იყო და ღია ეთერში მოსმენა, რომ პრემიერმა თავდაცვის მინისტრი მოხსნა, ადვილი არ ყოფილა.

**— ამ დროს თქვენ „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში იყავით... დავიჯერო, ალასანიას მოხსნას არ ელოდით?**

— მოვლენები ისე ვითარდებოდა, რაღაც ეტაპზე კულმინაციას მიაღწევდა და გამორიცხული არაფერი იყო. სხვათა შორის, ვიდრე პრემიერის გამოსვლა დაიწყებოდა, პროდიუსერმა ნინო ჟიჟილაშვილს უთხრა, ალასანია, მგონი, გადააყენესო... ამ ამბებამდე რამდენიმე საათით ადრე, თუ ნახეთ Facebook-ზე დავპოსტე: „კაბელების საქმე, ექიმების საქმე... რომელი წელია?!“ ამ პოსტს ცალკეულ ადამიანებში გარკვეული რეაქცია მოჰყვა.

**— „ცალკეულ ადამიანებში“ ანუ პრემიერში?**

— არა, ღარიბაშვილს არაფერი უთქვამს... მოკლედ, ინფორმაცია გვქონდა, რომ სხვა საქმეებიც მოდიოდა და ყველაფერი ეს წინა წლების საუკეთესო ტრადიციებში „ჯდებოდა“.

ვანო, იუმორთან ჩემი დამოკიდებულება იცით...

**— კი, ირაკლი ალასანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მაღალინტელექტუალური იუმორი გაქვთ...**

— ბუნებრივია, მიფიქრია, თუკი ირაკლი ალსანიას თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტი დადგებოდა...

**— უკაცრავად, ამაზე რატომ ფიქრობდით?**

— იმიტომ, რომ ტემპერატურის ზრდასთან ერთად, ასეთი შესაძლებლობების ალბათობაც იზრდებოდა...

**— ამაზე, წესით, იმ დღიდან უნდა გეფიქრათ, როცა ალასანია თავდაცვის მინისტრად დანიშნეს — კულუარებში მაშინვე ითქვა, მალე მოხსნიანო...**

— კულუარებში ბევრ რამეს ამბობენ...

**— ბატონო ალექსი, მოდი, აღიარეთ, რომ ღარიბაშვილი და ალასანია ერთმანეთს იმთავითვე ვერ იტანდნენ...**

— არა, არა... შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით გითხრათ, ასე არ ყოფილა. მათი ძალიან გულწრფელი და ხალასი ურთიერთობის მომსწრე ვარ...

**— ესე იგი, საგანელიძემ ისე კარგად იმუშავა, ეს ხალასი ურთიერთობა გააფუჭა?**

— საგანელიძის როლი ძალიან პატარაა...

**— აბა, ხუხაშვილს უფრო დიდი როლი ჰქონდა?**

— ამ გადაწყვეტილებაში წვლილი არც ხუხაშვილს მიუძღვის... როცა მოვლენები კულმინაციამდე მივიდა, ბუნებრივია, იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორი იქნებოდა ხალხის რეაქცია ჩემს გადადგომაზე. იყო მცდელობა, ყველაფერი იმით აეხსნათ, რომ აი, ერთ მეგობარს მეორე გაჰყვა, მეორეს — მესამეო...

**— ალექსი ბატონო, უჭკუო და ამბიციურ მეგობარზეა ლაპარაკი...**

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჩემს ღირსებაზე დაბლა დგას.. ხალხი ყოველთვის გვეუბნებოდა, მოწყდით სკამებსა და ჯიპებსო, მაგრამ სკამსა და მანქანას არასოდეს გამოვკიდებივარ და მინდოდა, ხალხისთვის ყველაფერი სხვა ჭრილში, იუმორით დამენახებინა... ცხონებულ შევარდნაძესთან კარგა ხანს ვმუშაობდი...

— განსვენებული პრეზიდენტის პაროდიას შინაც აკეთებთ ხოლმე?

— *(იღიმის)* ვერ ვიტყვი, რომ ვრეპეტიციობდი...

**— ისე, სოცქსელის „იუზერებმა“ იწინასწარმეტყველეს, თუ პეტრიაშვილი სამსახურს სახელმწიფო სტრუქტურაში ველარ იშოვის, სცენაზე დასაქმდებაო...**

— ჩემს თავს მივხედავ, სცენისთვის კი, ჩემი უმცროსი შვილი, შოთიკო ემზადება, რომელიც კარგად ცეკვავს და მღერის... ერთი სიტყვით, მინდოდა, იუმორით მეთქვა, რომ ცხოვრება გრძელდება, თუმცა ყველა ხუმრობაში სიმართლის წილიცაა.

**— ახლა ნუ დამაბნიეთ და მარტივად მითხარით: დიქტატურა მართლა მოდის თუ ხუმრობით?**

— ეს, ერთის მხრივ, იყო გზავნილი, მეგობრებო, რაღაც ცუდად არისო და მეორეს მხრივ, იმის თქმა მინდოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ამ თანამდებობაზე მუშაობა შეწყდა, ცხოვრება გრძელდება და უფრო საინტერესო ხდება-მეთქი.

**— საინტერესო აი, მაშინ იქნება, თქვენსა და მაია ფანჯიკიძეზე საქმე საბოტაჟის მუხლით რომ აღძრან და ერთ მშვენიერ დღეს, „მატროსოვზე“ აღმოჩნდეთ...**

— „მატროსოვი“ არ მემუქრება, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ.

**— მომიტევეთ და, ჩვეულებრივი მოქალაქე კი არა, მთავარი „საბოტაჟნიკი“ ხართ — ალასანიას პირველი „პადდერჟკა“ თქვენ მიეცით...**

— ჯერ ერთი, ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი და თანამშრომელი არ ვყოფილვარ, „მატროსოვზე“ რომ აღმოვჩნდე. ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და იქ წავალ, სადაც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი მიჰყავთ! მეორეც, ასეთი აზრის გაჩენისა და, ღმერთმა არ ქნას, განხორციელების შემთხვევაში, ამ აზრის ავტორების კარიერის დასასრული დაჩქარდება და ყველაფერი კატასტროფული კოლაფსით დამთავრდება! ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩვენ განსაკუთრებულები ვართ... უბრალოდ, 37-ს კი არა, 2007 წელსაც ვერავინ დააბრუნებს!

**— სხვათა შორის, დღეს 7 ნოემბერია... ბატონო ალექსი, შეიძლება, ვიღაცამ პირფერობად ჩამითვალოს, მაგრამ ფაქტია: „თავისუფალი დემოკრატები“ განსაკუთრებულები თუნდაც იმიტომ ხართ, რომ ლევან მიქელაძის პრინციპებს უერთგულებთ. აცებოოკ-ის ავატარზე, როგორც მახსოვს, სწორედ ცხონებული მიქელაძის ფოტო გიყენიათ...**

— დიახ, ასეა...

**— მსმენია, 2007 წელს რომ გადადგა, თანამდებობების დატოვებას თქვენ, ვიქტორ დოლიძე და ირაკლი ალასანიაც აპირებდით, მაგრამ ლევანმა თურმე, გითხრათ, თქვენც რომ გადადგეთ, ამას საბოტაჟს დაარქმევენო... ასე იყო?**

— ვანო, დიდი მადლობა, ამ თემას რომ შეეხეთ... ლევან მიქელაძის ცხოვრების პრინციპები და წესები მხოლოდ ჩემთვის კი არა, თითოეული ჩვენგანისთვის ამოსავალი წერტილი იყო, არის და იქნება. ლევანი, თავისი ცხოვრებითა და ღირსებით ჩვენთვის სამაგალითო ადამიანი იყო და მის ირგვლივაც ამიტომ გავერთიანდით. ლევან მიქელაძის მიერ თანამდებობის დატოვება ჩვენთვის სიურპრიზი იყო, მაგრამ, როგორც კი ამის შესახებ გავიგეთ, ირაკლი ალასანია, ვიქტორ დოლიძე, დავით ზალკალიანი და მეც დავუკავშირდით და ვუთხარით, გამჩერებლები არც ჩვენ ვართ-თქო, მაგრამ ლევანმა ამის საშუალება არ მოგვცა. მართლაც, მნიშვნელოვანი რაღაცები იყო — მაგალითად, ირაკლი ალსანიას გაერო-ში ბოლომდე უნდა მიეყვანა დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებული ერთადერთი რეზოლუცია, რომელიც დღესაც ჩვენი დიპლომატიისთვის დიდი წარმატებაა, რუსეთისთვის კი — თავისტკივილი. ვიქტორ დოლიძეს იგივე საკითხები ეუთო-ში უნდა დაესრულებინა საქმე, დავით ზალკალიანმა კი უდიდესი როლი შეასრულა, რომ ბელორუსმა, აგვისტოს ომის შემდეგ, ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა არ აღიარა. სხვათა შორის, 2009 წელს, ოპოზიციაში რომ წავედით, გვეკითხებოდნენ, ლევანთან ერთად რატომ არ გადადექითო. ღმერთმა მისი სული გაანათლოს და, მოკრძალებულად ვუსაყვედურე, რატომ არ მითხარი, გადადგომას რომ აპირებდი-მეთქი, მიპასუხა, რომ მეთქვა, შენს დარწმუნებას ვერ შევძლებდი, თანამდებობაზე დარჩენილიყავიო...

ვანო, წეღანაც გითხარით, რომ ერთი თანამდებობაც არ მიღირს ფასეულობების, ადამიანური ურთიერთობებისა და, რაც მთავარია, სამშობლოს ფასად!.. თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება ირაკლის საფრანგეთში ვიზიტისას მოხდა, პროკურატურის მიერ გამძაფრებული დიარეის საკითხის დაყენებისას კი, გამიმძაფრდა ეჭვი, რომ ირაკლი ალსანიას პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა.

**— სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გულისხმობთ?**

— არა, სამსახურეობრივს...

**— ზოგი ვენებს იხსნის, ალასანიას, უეჭველი, დაიჭერენო. ისეთი მეზღაპრენიც არიან, რომლებიც ამბობენ, ალასანია სახელმწიფოსთან შეიარაღებულ დაპირისპირებაზე აპირებდა წასვლასო... ალექსი ბატონო, იზიარებთ ირაკლი ალასანიას მოსაზრებას, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ წინააღმდეგ დაფინანსებული კამპანია მიმდინარეობს? ალბათ, იცით, დავით ბერძენიშვილმა ისიც თქვა, ყველაფერ ამის უკან „ოცნების“ გარკვეული ფრთა დგასო...**

**— რეალური ფაქტები არ მაქვს, ამაზე დაბეჯითებით რომ ვისაუბრო, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობთ, კონკრეტული ინფორმაციები სწრაფად ვრცელდება და ე.წ. უფლებადამცველები, ექსპერტები და ახალგაზრდული ორგანიზაციები ირაკლი ალასანიაზე შეტევას პერიოდულად მიზანმიმართულად და ორგანიზებულად იწყებდნენ. სწორედ ამიტომ ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ეს დაკვეთილი კამპანია იყო. ზოგი კითხულობს, რატომ გააიგივა ირაკლი ალასანიამ თავი ნატო-სთან, ეს მის წინააღმდეგ მიმართული კამპანია არ იყოო, მაგრამ იმას, რაც ირაკლის წინააღმდეგ იყო მიმართული, ღირსეულად ვპასუხობდით...**

**— მოკლედ, ინტრიგა ვინ მოაწყო?**

— რა გითხრათ... ვიცი?.. არ ვიცი!

**— იცით, მაგრამ დიპლომატი ხართ და არ მპასუხობთ...**

— მტკიცებულებები არ მაქვს, რომ დაბეჯითებით გიპასუხოთ...

**— მთავარ „ბრალდებაზე“ მაინც მოგიწევთ პასუხის გაცემა: ნაციონალებთან რატომ თანამშრომლობთ?**

— ირაკლი ღარიბაშვილისთვის პირადად მითქვამს, რომ გზავნილის გაშალაშინებაში პრობლემები ყოველთვის იკვეთებოდა. იმაზე, რომ ირაკლი ალასანია ნაციონალების ლობისტია, გამეღიმა. გასაგებია, ამით უნდოდათ, საზოგადოებაში შეექმნათ განცდა, რომ ალასანია ნაციონალებზეა მიბმული...

**— ამას გარკვეული ეფექტი ჰქონდა...**

— კი ბატონო, მაგრამ მაშინ, როცა ირაკლი ალასანიამ ნიუ იორკში მნიშვნელოვანი პოზიცია დატოვა და ნაციონალური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესში იყო და ამაში დასაძრახი არაფერია. სხვათა შორის, ამ აზრის დამკვიდრებას ხელს ნაცმოძრაობის გაქნილი პოლიტიკოსებიც უწყობენ — როგორც კი ალასანია გაათავისუფლეს, მათგან მხარდამჭერი მესიჯები წამოვიდა...

**— უცნაურია და, მხარი ალეკო შალამბერიძემაც დაგიჭირათ...**

— ალეკო კარგი ადამიანია და მასზე ახლა ვრცლად არ ვისაუბრებ... მოკლედ, ეს ნადირობაა, რომელიც ირაკლი ალასანიას დაზიანებისკენაა მიმართული. ბრალდებულ გი-



# „გიგი უგულავას მეგობარი ტამბოვის მგელი იყოს!“

გი უგულავას ალასანიასთვის მოუწერია, ჩემო მეგობაროო. მაგის მეგობარი ტამბოვის მგელია. ჩვენ მეგობრობისა და სახელმწიფოს სხვანაირი აღქმა გვაქვს. ნაცმოძრაობისთვის სახელმწიფო კარგი პროექტი იყო...

**— ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც ნაციონალები რუს ოლიგარქად მოიხსენიებენ, „განსხვავებული აღქმა“ არ გქონდათ? სხვათა შორის, მასთან პირველსავე დაძახილზე მიხვედით...**

— ვანო, აბა, ნახეთ: ჩვენი საგარეო კურსი დეკლარირებულად ევროატლანტიკური ინტეგრაციაა. ბიძინა ივანიშვილმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც პრაქტიკულად, ამ მიმართულებებზე საუბრობდა და იმ ძალებს ეძებდა, რომლებიც ამ იდეალების ერთგულები იყვნენ. „პირველივე დაძახილზე მისვლა“ ცოტა ისეთი ნათქვამია, მაგრამ, როცა კომუნიკაცია შედგა, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილთან კი არა, სხვა პარტიებთანაც, რომლებსაც მანამდე ნატო-ზე საკმაოდ ორაზროვანი განცხადებები ჰქონდათ გაკეთებული, დეკლარირებულად შევთანხმდით, რომ ევროატლანტიკური კურსი ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ამ დეკლარაციის ძირითად საფუძველს ყველა დისციპლინურად მივყვებოდით.

**— მთავარი პროკურორის მოადგილე შოთაძე უდისციპლინო აღმოჩნდა და ეს დისციპლინა დაარღვია, არა?**

— ეს საკმაოდ რთული საქმეა. შოთაძე რიგითი გამომძიებელი კი არა, მთავარი პროკურორის პირველი და საკმაოდ გავლენიანი მოადგილეა. უმაღლესი განათლების მქონე, ზრდასრული ადამიანი, როცა რომელიმე უწყებაში დაკავებას ახორციელებს, იკითხავს, მინისტრი სად არის, საქმის კურსში უნდა ჩავაყენოო..

**— ანუ შოთაძემ დავალება შეასრულა?**

— დამელოდეთ და ამასაც მოგახსენებთ...

**— „დამელოდეთ“ კი არა, „მომითმინეთ, მომითმინეთ“...**

— *(იცინის)* უკაცრავად... შოთაძემ შეცდომა დაუშვა და პრემიერ ღარიბაშვილის ადგილას დავინტერესდებოდი, ამ კაცმა ყველაფერი უმეცრებით ხომ არ გააკეთა, თორემ დიარეის საქმე პანიკის გამოვლენა იყო, მით უმეტეს, ეს მასალები ირაკლი ალასანიამ მთავარ პროკურატურას ათი თვის წინ გადაუგზავნა. ერთ კვირაში კაბელები, დიარეა, მშენებლობა, ჩაცმა-დახურვა, კვება და რა ვიცი, კიდევ რა აღარ, როგორ გამოიძიეს?!

**— ასეა თუ ისე, „კოალიციაში“ მუდმივად „რაზბორკებს“ გიწყობდნენ. „ოცნების“ ბოლო პოლიტსაბჭოზე კი, თურმე, დაჭერითაც დაგემუქრნენ...**

— არა... ეს აბსოლუტური სიცრუეა!

**ისე, ამას წინათ, პაატა ზაქარეიშვილმა თქვა, ივანიშვილი „ქართული ოცნების“ გამოკვეთილი საზოგადო ლიდერიაო, მაგრამ ვერ გავიგე, ეს რას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის გავლენა დიდია და ამას ერთმნიშვნელოვნად მიხეილ სააკაშვილიც აღიარებს, დავით საგანელიძეც და ნინო ბურჯანაძეც...**

**— ისე, კი გაახარეთ ეს ქალბატონი...**

— კი, სიხარულისგან ნამდვილად ბრწყინავს, ოღონდ ჩვენ არ გაგვიხარებია და ინგოროყვას ქუჩაზე მოიკითხეთ, ვინ გაახარა. პოლიტსაბჭოზე გასარჩევად არ მივსულვართ, ბიზნესმენი არასოდეს ვყოფილვარ და ამ „გარჩევების“ ასავალ-დასავალი ნამდვილად არ ვიცი. ყველაფერი სასამართლომ უნდა გაარჩიოს... საარჩევნო კამპანიის დროს, პრემიერ ღარიბაშვილთან ერთად ჩამოვაყალიბეთ პოზიცია, რომ კორუფციაში ბრალდებული ადამიანების წინასწარ დაკავებას და საქმეების ასე გამოძიებას აღარ ვაპირებდით. პრემიერი ამბობს, პროკურატურა მარწმუნებს, ეს ადამიანები აუცილებლად დაკავებულები უნდა იყვნენო. მთელი თავდაცვის სამინისტრო თავდებში ჩაუდგა, არსად გაქცევას აპირებდნენ და ჩემი კითხვისნიშნებიც აქაა — ირაკლი ღარიბაშვილი მაინცდამაინც პროკურატურის მხარე რატომ გახდა?!

**— ბატონო ალექსი, დიპლომატიის გარეშე მითხარით, საგარეო კურსს პროკურატურა პრემიერის მითითებით ცვლის?**

— დიპლომატიის გარეშე მაშინაც ვერ ვილაპარაკებ, იმქვეყნად რომ ვიქნები!

**— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ!**

— ისეთი გულუბრყვილოც არ ვარ, დავიჯერო, მთავარი პროკურატურის რამდენიმე მაღალჩინოსანმა თავისით გადაწყვიტა, ევროატლანტიკურ კურსზე შტურმი უნდა მივიტანოთო. თუ ასეა, ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ მეორე უბედურებაა, თუ ვინმემ უკარნახა, თუმცა სავალდებულო არაა, ეს ირაკლი ღარიბაშვილი ყოფილიყო...

**— მოქალაქეზე ეჭვობთ?**

— სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია, ამის გამოძიება მოხდეს. თუ უმეცრებით მოხდა, უნდა დაისაჯონ, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იქნება, თუ კვალი გარეთ გადის. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

**— რა თქმა უნდა, ვხვდები...**

— სხვათა შორის, ბოლო დროს ანუ უელსის სამიტის შემდეგ, სადაც გადაწყდა, რომ საქართველოს ნატო-ს გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი უნდა გადმოეცეს, რუსეთის სპეცსამსაუხრები გააქტიურდნენ...

**— ...ბატონო ალექსი, არ გაბრაზდეთ და, მეგობრებში არ გიმართლებთ. აი, თუნდაც თეა წულუკიანი...**

— ჩვენ ძალიან სერიოზული თანამებრძოლები ვიყავით...

**— რატომ გიღალატათ?**

— აპ-პა-პა-პა.. მან თავისი არჩევანი გააკეთა და ის გზა აირჩია, რომელიც სწორად მიაჩნია... წარმომიდგენია, მისთვის როგორი რთული იქნებოდა, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ირაკლი ალასანიაზე აბსოლუტურად აბსურდულ რაღაცებს ამბობდა.

**— იუსტიციის მინისტრის ადგილას თქვენ რომ ყოფილიყავით, რას იზამდით?**

— მე რომ ვყოფილიყავი, ამას არ იტყოდა... საერთოდ, ღალატი უმძიმესი ბრალდებაა... ის არ ეყოფა ქვეყანას, რომ ვიღაც „მიღალატა-გვიღალატაზე“ ლაპარაკობს და ახლა, ამ ორლობისეულ საუბარს მეც ხომ არ დავიწყებ?.. ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ — მივიღეთ ასოცირების ხელშეკრულება, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა და ნატო-ს უელსის სამიტის პაკეტი. ასე რომ, „ოცნებიდან“ ხელცარიელები არ წამოვსულვართ!

**— ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ „თავისუფალ დემოკრატებს“ ერთპროცენტიანებს და უმადურებს გეძახიან...**

— ვიცი...

**— მერე, რისი ან ვისი იმედი გაქვთ?**

— ქართველი ხალხის... სხვათა შორის, მაშინაც კი, როცა მინისტრი ვიყავი, ძალიან ბევრი „ძლიერთა ამა ქვეყნისაგან“ განსხვავებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ფეხით დავდიოდი, რაც ახლა გაათმაგდება და გაასმაგდება. პოლიტიკოსი საზოგადოების განწყობის პულსს აუცილებლად გრძნობს — საყვედურის მოსმენის უნარიც უნდა ჰქონდეს, არგუმენტურებული საუბრისა და შემდგომი ნაბიჯების გადადგმისაც. ის სახელმწიფო მინისტრი ვიყავი, რომელსაც საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების ცნობადობის ამაღლება მევალა, ამიტომ მთელ საქართველოში დავდიოდი და ხალხის მხოლოდ ადამიანური დამოკიდებულება კი არა, პოლიტიკური სიმპათიებიც ვიცი. ასე რომ, არ ვითხოვთ, მაგრამ ყველანაირი პროცესისთვის — ლონდონიდან ბომბეიმდე, გვირაბის გათხრით დაწყებული ვადამდელი არჩევნებით დამთავრებული, მზად ვართ!

**— იმისთვისაც მზად ხართ, ბიძინა ივანიშვილმა ერთი მილიონის უკან დაბრუნება რომ მოგთხოვოთ?**

— რისი?

**— აი, იმ ერთი მილიონის, 2012 წლის არჩევნებამდე კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას რომ მოგცათ...**

— ჩვევა მაქვს: სიგარეტისა თუ კანფეტის ყუთებს, რომ ცარიელდება, უჯრაში ვყრი. ახლა, კაბინეტს რომ ვცლიდი, მაგიდა დავალაგე. მართალია, მილიონის მასშტაბზე ვერ გავიდა, მაგრამ ამ ცარიელი ყუთებით პოლიეთილენის დიდი პარკი გაივსო. აი, სამსახურიდან ამის მეტი არაფერი გამომყოლია და არ ვიცი, თუ ეს შეეხიდება იმ ერთ მილიონს.. ისე, არავინ არაფერს ითხოვს, ვინმეს ფული არც ჩვენ წაგვილია სადმე. ეს თანხა საერთო ბრძოლას მოხმარდა და ამ ბრძოლის დროს ყველა „თავისუფალმა დემოკრატმა“, მორალურს თავი რომ დავანებოთ, მატერიალურადაც იზარალა, მაგრამ ამაზე საუბარს არასოდეს ვიკადრებთ. ალბათ, გახსოვთ, ზურა აბაშიძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მაგრამ ეს ლამის სიკვდილამდე მიყვანის საქმე დღემდე გამოუძიებელია.

**— ბოლო ხელფასის აღება მოასწარით?**

— (იცინის) ბოლო რამდენიმე დღის ნამუშევარი, ალბათ, ანგარიშზე დაჯდება, მაგრამ არა უშავს, ჩვენ არ დავიკარგებით!

**— ...ბატონო ალექსი, ორი სახელი რატომ გქვიათ?**

— ბებიამ დამარქვა... მინისტრობისას სახელი პრობლემა იყო: ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ყველა ბუკას მეძახის, მათ შორის, უცხოელი მეგობრებიც. ამავე დროს, ალექსი მქვია და სერიოზული ბრძოლა მიწევდა, რომ ბატონო ალექსანდრეთი არ მოემართათ. ერთხელ, ჟურნალისტი ტელეფონით პროდიუსერს ეუბნებოდა, ჯერ ბუკას „გადმოგიგორებო“. გავეხუმრე, ვის გადაუგორებ-მეთქი?!...

**— მე როგორ მოგიხსენიოთ — ბუკა თუ ალექსი?**

— როგორც გინდათ, ოღონდ — ალექსანდრე არ დაწეროთ...

**— კარგი, შევთანხმდით. ბოლოს, ერთი პოლიტიკური ანეკდოტი მომიყევით და თავს დაგანებებთ...**

— ბოლო მოვლენებთან დაკავშირებული ანეკდოტი არ ვიცი, მაგრამ ერთი მომწონს ძალიან, ოღონდ მიხეილ სააკაშვილს ეხება...

**— ახალ პრეზიდენტზე გადავაკეთოთ, რა პრობლემაა...**

— არა, არ გამოვა...

**— თქვენი ნებაა... წარმატებას გისურვებთ!**

## „ბურჯანაძე სიხარულისგან ბრწყინავს!“



# „პრივატბანკის“ სახელფასო სკანდალი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, „პრივატბანკის“ თანამშრომლებს ოქტომბრის ხელფასზე უარი „ნებაყოფლობით“ ათქმევინეს, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად მედია „პრივატბანკის“ სახელფასო დეპარტამენტს დაუკავშირდა, ბანკის ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს ნახევრად ცარიელი ფურცლები გაუგზავნა, თან დაემუქრა, თუ ხელს არ მოაწერთ, საყვედურს მიიღებთ და ბონუსი დაგექვითებათო. მოგვიანებით, თანამშრომლებს დაპირდნენ, რომ თანხას დეკემბერში აიღებენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ.**

„ვერსიამ“ „პრივატბანკის“ ის ბრძანება მოიპოვა, რომელზეც თანამშრომლებს ხელი მოაწერინეს. ეს ბრძანება კი არა, ცარიელი ბლანკია, რომელზე ხელმოწერითაც კონკრეტული თანამშრომელი ადასტურებს, რომ ოქტომბრის ხელფასზე უარს ნებაყოფლობით ამბობს. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, თუ თანამშრომლები ნახევრადცარიელ ბლანკზე ხელს არ მოაწერდნენ, ბონუსებს დაუქვითავდნენ.

„პრივატბანკის“ ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს გამოუცხადა, რომ, თუ ნოემბერში გეგმას გადაჭარბებით შეასრულებდნენ, დეკემბერში ოქტომბრის ხელფასს მიიღებდნენ, მაგრამ ეს სრული აბსურდია, რადგან თანამშრომლები ვერ დაამტკიცებენ, რომ გეგმა შეასრულეს. მეტიც, უკვე არსებობს სია, თუ რომელი თანამშრომელი არ მიიღებს ხელფასს ნოემბერში“, — უთხრა წყარომ „ვერსიას“.

„ვერსია“ „პრივატბანკის“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსს, **მაია ბოცვაძეს** დაუკავშირდა:

**— გავრცელებული ინფორმაციით, „პრივატბანკის“ თანამშრომლებს ოქტომბრის ხელფასი არ აუღიათ. რა გახდა შეფერხების მიზეზი?**

## რა ბანკები დაურიგეს და რატომ არ აძლევენ თანამშრომლებს ოქტომბრის ჯამაგირს




— მსგავს ფაქტს არ ვადასტურებთ, რადგან ბონუსების დარიცხვის თარიღი ყოველი თვის 10-დან 15 რიცხვამდეა. შესაბამისად, „პრივატბანკის“ თანამშრომლები კუთვნილ ანაზღაურებას სწორედ ამ რიცხვებში, ჩვეულ რეჟიმში მიიღებენ.

**— მას შემდეგ, რაც ამ თემით ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ბანკის თანამშრომლებს ცარიელ ბლანკზე მოაწერინეს ხელი, რომლებიც ოქტომბრის ხელფასზე საკუთარი ნებით ამბობენ უარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბლანკზე ხელს არ მოაწერდნენ, ბონუსები დაექვითებოდათ. არც ამას ადასტურებთ?**

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ბრძანების თანახმად ნომერი [redacted] გამოგეცხადებათ საყვედური და 100%-ით დაგებლოკებათ ბონუსი.

განვადების მენეჯერი:

გავეცანი - 31.10.2014

— არა, რადგან მსგავსი ფაქტი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

**— „პრივატბანკის“ ხელმძღვანელობას თანამშრომლებისთვის ნოემბერში არც გეგმის გადაჭარბებით შესრულება მოუთხოვია, რათა ოქტომბრის ხელფასი დეკემბერში მიეღოთ?**

— არა, მსგავსი ფაქტის შესახებ არც კი გვსმენია.

**— არაოფიციალური ვერსიით, იმის გამო, რომ „პრივატბანკის“ დამფუძნებელი უკრაინელია, ოქტომბრის ხელფასის გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები, სწორედ უკრაინის კრიზისს უკავშირდება. ასეა?**

— „პრივატბანკი საქართველო“ დამოუკიდებელი ბანკია და მასზე უკრაინაში არსებული კრიზისი არც ასახულა და არც აისახება.

ცნობისთვის: „პრივატბანკი“ 1988 წელს დაფუძნდა, როგორც ბანკი „კავკასიონი“ და ამჟამად, ერთ-ერთი ცნობადი ბანკია საქართველოში. ყოფილი „ტაოპრივატბანკი“, უკრაინული „პრივატბანკის“ ჰოლდინგის წევრი 2007 წელს გახდა. სწორედ ამ პერიოდში, უკრაინული „პრივატბანკის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე დუბილეტმა და ქართული „ტაობანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადიმერ უგულავამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. შედეგად, „ტაობანკის“ აქციების საკონტროლო პაკეტის 75% უკრაინულმა „პრივატბანკმა“ შეიძინა. „პრივატბანკი“ უკრაინის უმსხვილესი ბანკია, რომლის აქტივებიც 8 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. „პრივატბანკს“ ფილიალი აქვს კვიპროსზე, შვილობილი ბანკები კი — რუსეთსა („მოსკოვპრივატბანკი“) და ლატვიაში („პარიტეტბანკი“).



# „ბრინჯაოდან თიბისიმდე“ — თიბისი არტ გალერეა ისტორიული ბალთების გამოფენას მასპინძლობს

**7 ნოემბერს, თიბისი არტ გალერეაში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ჭვირული ბალთების უნიკალური კოლექცია წარმოადგინეს. გამოფენაზე — „ბრინჯაოდან თიბისიმდე“, საქართველოში, ზემო რაჭის რეგიონში აღმოჩენილი 18 ისტორიული არტეფაქტი წარმოადგინეს, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI და ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებით თარიღდება. თიბისი არტ გალერეაში უნიკალურ გამოფენას საქართველოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, პარლამენტის წევრები, ხელოვნებათმცოდნეები და მეცნიერები დაესწრნენ.**



გამოფენის მიზანი უნიკალური კოლექციის პოპულარიზაცია და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დახმარებაა

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ონის სამუზეუმო ექსპონატები კერძო საგამოფენო სივრცეში გამოფინეს. ამით საზოგადოებას საშუალება ეძლევა, რომ ეს უნიკალური ექსპონატები თბილისში იხილოს. მისივე თქმით, ქართველი მეცნიერები, საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაინტერესდნენ.

**„იმ პერიოდში, შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის გამო, ბევრი ექსპონატი უკონტროლოდ გაიტანეს საზღვარგარეთ. სწორედ ასე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ევროპისა და ამერიკის კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში. დღეს ისინი დაცულია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, ბრიტანეთის მუზეუმში, ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმში, ჟენევის მუზეუმში, კიევის ისტორიულ მუზეუმში, ერმიტაჟში, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, საფრანგეთის არქეოლოგიის ეროვნულ მუზეუმში, პარიზის აზიური ხელოვნების მუზეუმში. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღემდე შეუსწავლელია და შესაბამისად, კავკასიის კულტურის კონტექსტში არც კი მოიაზრება“,** — განუცხადა „ვერსიას“ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, **გია ბეროშვილმა**.

მისი თქმით, ბრინჯაოს ბალთების სუფთა ქართული წარმოშობა ზემო რაჭაში, 1939 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად დადგინდა. ამ ექსპედიციის დროს, სოფელ ღების მახლობლად, სამარხებს მიაკვლიეს, სადაც ბრინჯაოს ბალთების ნიმუშები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. სწორედ ამის შემდეგ გახდა ცნობილი საბოლოოდ, რომ ეს ბალთები ქართული წარმოშობისაა.

**„ქართული კულტურის ისტორიაში ბალთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათში საქართველოს უძველესი, თვითმყოფადი კულტურის ადგილობრივი ტრადიციები სრულადაა გამოვლენილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლები წინაქრისტიანული ხანის საქართველოს მხატვრული მელითონეობის უკანასკნელ ეტაპს წარმოგვიდგენენ და თითქოს, ამ დარგის ბრწყინვალე ტრადიციებსაც აგვირგვინებენ“,** — აღნიშნა ხელოვნებათმცოდნემ, აკადემიკოსმა **მანანა ხიდაშელმა**.

ბალთების ყველაზე მრავალფეროვანი კოლექცია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. დღეს ეს მუზეუმი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მიწისძვრის შედეგად, შენობა სერიოზულად დაზიანდა. განადგურება ემუქრება ონის მუზეუმში დაცულ უმნიშვნელოვანეს, 14 000-მდე არტეფაქტს, არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ, პალეონტოლოგიურ, ზოოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს.

მამუკა ხაზარაძის განმარტებით, გამოფენის — „ბრინჯაოდან თიბისიმდე“ მიზანი, რაჭაში აღმოჩენილი უნიკალური კოლექციის პოპულარიზაცია, უცხოეთში მოხვედრილი არტეფაქტების შესწავლა, იდენტიფიკაცია და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დახმარებაა. ეს უნიკალური გამოფენა თიბისი არტ გალერეაში, 2014 წლის 1 დეკემბრამდე გასტანს.

*მაია მიშელაძე*

# სწავლების ინოვაციური მეთოდი „გორგასალში“



## რა სიახლეებს სთავაზობს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს



ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი 4 ფაკულტეტი; 7 საბაკალავრო (ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, მენეჯმენტის, ეკონომიკის, სამართლის, ინგლისური ფილოლოგიისა და ფარმაციის), ერთი ერთსაფეხურიანი (სტომატოლოგიის) და სამაგისტრო პროგრამები; მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები; უმაღლესი დონის საკონფერენციო და სპორტული დარბაზები... — ყველა იმ უპირატესობის ერთბაშად ჩამოთვლა, რომელიც თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალს“ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან გამოარჩევს, ცოტა რთულია. რექტორი, პროფესორი მზია ქათამაძე, სასწავლებლის მთავარ უპირატესობად მაინც სწავლების განსაკუთრებულ მეთოდს მიიჩნევს და გვიმხელს: „მუდმივად ვცდილობთ, წავახალისოთ საუკეთესო და აქტიური სტუდენტები, უნივერსიტეტს საქმიანი და მეგობრული თანამშრომლობა აკავშირებს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან, უკვე ამოქმედდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი Tempus, რომელიც ჩვენ სტუდენტებს, მაღალკონკურენტუნარიანი და კვალიფიციური განათლების მიღების მეტ შანსს მისცემს“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტში არაერთ ლექტორს ამერიკული და ევროპული განათლება აქვს მიღებული და მრავალი ჯილდოს მფლობელია.**

მზია ქათამაძე ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც რექტორს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტრაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-სა და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან. ქალბატონი მზიას განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტთა სურვილისამებრ, იგეგმება სასწავლო-შემეცნებითი ტურები ევროპაში. თავად „გორგასალსაც“ ხშირად სტუმრობენ უცხოელი პარტნიორები და ასევე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. უცხოელების სტუმრობა მას შემდეგ განსაკუთრებით გახშირდა, რაც უნივერსიტეტი „ტემპუსის“ პროგრამაში ჩაერთო. პროფესორი კონსტანტინე აბულაძე იმ 3-წლიანი გეგმის შესახებ გვიამბობს, რომელიც უნივერსიტეტმა, ხსენებული პროექტის ფარგლებში უნდა განახორციელოს, თუმცა მანამდე გვიმხელს, რომ „გორგასალში“ განსხვავებული და განსაკუთრებით საინტერესო მეთოდით, ტურიზმის პროგრამა ხორციელდება, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს.

**კონსტანტინე აბულაძე:** — ჩვენი უნივერსიტეტის მისიაა, ინოვაციური მიდგომა სწავლების პროცესისადმი. ეს განსაკუთრებით წარმატებით განვახორციელეთ ტურიზმში — შევცვალეთ მიდგომა.

**— რა იგულისხმება „მიდგომის შეცვლაში“? აქამდე ბევრს ჰქონდა წარმოდგენა, რომ ტურიზმის განხრით თუ მიიღებდა განათლებას, ტურისტულ სააგენტოში იმუშავებდა და მსოფლიოს მოივლიდა...**

— მართალია. სამწუხაროდ, ძველი კომუნისტური პერიოდიდან შემორჩა მსგავსი მიდგომა, რომელიც ჩვენს სასწავლებელში, ნამდვილად შევცვალეთ. ტურიზმის სწავლებისას, უფრო მეტად ტექნოლოგიური ასპექტი გამოვკვეთეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ტურისტებს კი არა, ტურიზმის მენეჯერებს ვზრდით. ნაკლებად უნდა გვაინტერესებდეს უცხოელი, რომელიც ჩამოსულია და სურათებს იღებს. მეტად კი — მისი ეკონომიკური მხარე, ჩვენ მიერ დახარჯული ერთი ლარი როგორ შემოსავალს იძლევა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ეკონომიკა იმპორტზეა ორიენტირებული. ის კი, თითქოს, რადგან ბევრი ტურისტი ჩამოდის, ფულის დიდი ნაკადი მოედინება ჩვენს ქვეყანაში, მითია. ეს კარგადაა დასათვლელი. ჩვენ გვჭირდება ტურიზმის მენეჯმენტი და სწორედ ამიტომ გადავედით ტექნოლოგიურ სწავლებაზე. ვასწავლით ტურიზმის საფუძვლებს, ახალი სახელმძღვანელოთი, რომელიც ახლახან ითარგმნა ქართულად. აქცენტს ვაკეთებთ ტურიზმის



ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ ასპექტებზე... მნიშვნელოვანია ტურისტული რესურსის ფორმირების პროცესიც. დღეს სტუდენტებისთვის აღარაა საინტერესო, მოვუყვეთ ამა თუ იმ ტურისტული მარშრუტის შესახებ. მათ თავად უნდა შეძლონ მარშრუტების პროექტირება, სადაც განიხილავენ პროექტირების ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ერგონომიკურ, სტანდარტების ასპექტებს. მოკლედ, შემოვიღეთ საგანი ტურისტული მარშრუტების პროექტირება. ასევე — გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში.

**— ეს უკანასკნელი კონკრეტულად რას ასწავლის სტუდენტებს?**

— ტურიზმის პროდუქტის სივრცობრივ განლაგებას. მოვიწვიეთ გეოინფორმაციული სისტემების ცნობილი ექსპერტი, პროფესორი სერგო ცირამუ, რომელიც მონაწილეობდა ბევრ საერთაშორისო პროექტში.

**— სწავლებაში რა ფორმითაა ჩართული არასამთავრობო ორგანიზაცია „ტურზმის გეოინფორმაციული ცენტრი“, რომელსაც ასევე ხელმძღვანელობთ?**

— „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი“ ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობს. მარშრუტების გაყვანასა და პროექტირებას გეოინფორმაციული სისტემებით ვახდენთ. ჩვენი სტუდენტები ელექტრონულ რუკებს ადგენენ. ჩვენ მიერ შექმნილი ტურისტული მარშრუტების აპლიკანტი, რომელიც მსოფლიოს უკვე 40 ქვეყანაში გამოიყენება, საქართველოს მთავრობის საიტზე დევს. ეს არის საჩუქარი ყველა ტურისტისთვის, პირდაპირი მარკეტინგი, როცა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ადგილას მყოფ ადამიანს, შეუძლია ვირტუალურად გაიაროს ტურისტული მარშრუტი და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. ამისთვის, საქართველოში წინასწარ ჩამოსვლა არაა საჭირო და აღარც ის კონცეფციაა საინტერესო, რომელიც აქამდე გვქონდა — თითოეულ რაიონში საინფორმაციო შენობები რომ უნდა აშენებულიყო, იქ უნდა მისულიყო ტურისტი და რუკებზე ეძებნა ტურისტული მარშრუტები.

**— ტურისტული მარშრუტების აპლიკანტის მობილურში ჩამოტვირთვაც შესაძლებელია?**

— დიახ, ანდროიდებზე კარგად მუშაობს და მოთხოვნაც დიდია. ამ ახალი ტექნოლოგიის შემუშავებაში სტუდენტები ჩავრთეთ. ისინი ჩვენთან ერთად გადიოდნენ საველე სამუშაოებზე, იღებდნენ კოორდინატებს, ფოტოებს... ჩვენმა კურსდამთავრებულებმა იციან ელექტრონული რუკის შექმნა-გამოყენება ანუ მთელი ტურისტული რესურსის გადატანა ელექტრონულ რუკებზე.

**— გამოდის, „ტურიზმის ცენტრში“ სტუდენტებს ასაქმებთ?**

— დიახ. ვასაქმებთ... ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა პროგრამის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელიცაა. ზოგადად, უნივერსიტეტები ბაზრის მოთხოვნას უნდა ასრულებდნენ. ჩვენ ჩავერთეთ „ტემპუსის“ პროექტში, სადაც მსოფლიოს ათი ქვეყანა მონაწილეობს. 3-წლიანი პროექტის ფარგლებში, 2 ახალი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა შეიქმნება სახელწოდებით, სასტუმროების მენეჯერი. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ტურიზმში, შემოსავლების 60% სასტუმროებზე მოდის. ამ პროექტზე დაწესებულია მუდმივი საერთაშორისო მონიტორინგი.

კონსტანტინე აბულაძის განმარტებით, „გორგასალში“, ტურიზმის გარდა, ზოგადად, ეკონომიკური ბლოკის პროგრამების გაძლიერებული სწავლებაა. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, აქ, სტრატეგიულ, ოპერაციულ მენეჯმენტსაც ასწავლიან, რათა ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგაც, კურსდამთავრებულმა ამ სფეროში წარმატებით იმუშაოს.

ია მჭედლიძე და მაგდა ბიბილაშვილი „გორგასლის“ მეოთხე კურსის სტუდენტები არიან. ია ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მენეჯმენტის სპეციალობას ეუფლება. მაგდა კი, სოციალურ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტია; იამ, თავის დროზე, არჩევანი „გორგასალზე“ ინტუიციის დამსახურებით შეარჩია — ამ უმაღლესში არავინ სწავლობდა ახლობელი, მაგრამ რატომღაც ძალიან მინდოდა, „გორგასლის“ სტუდენტი გავმხდარიყავიო. მისგან განსხვავებით, მაგდას ბევრი მეგობარიც სწავლობდა ამ სასწავლებელში და ძმაც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. **„ჩემი ძმა და ზოგადად, ოჯახის წევრები იმდენად კმაყოფილები იყვნენ, მოსალოდნელიც იყო, არჩევანი „გორგასალზე“ შემეჩერებინა“,** — გვიამბობს მაგდა და გვიმხელს, როცა სხვა სასწავლებლის სტუდენტებს ვესაუბრები და ვხვდები, სწორი რომ არჩევანი გავაკეთე, „გორგსალმა“ ჩემი იმედი გაამართლაო. ამ მხრივ გამონაკლისი არც ია მჭედლიძეა და ალბათ არც ის 600-მდე ახალგაზრდა, ვინც დღეს „გორგასლის“ სტუდენტის სტატუსს ატარებს. ია და მაგდა გვიამბობენ, რომ აქტიური სტუდენტური ცხოვრება აქვთ. თითქმის ყველა სტუდენტურ ღონისძიებაში მონაწილეობენ. „გორგასლის“ მთავარი ხიბლი კი ის შანსია, რომელსაც სასწავლებელი ყველა სტუდენტს აძლევს — სტაჟირება სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციაში, სადაც წარმატების შემთხვევაში, დასაქმების პერსპექტივაც ჩნდება. ია მჭედლიძე: **„რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები გვსტუმრობდნენ. სტაჟირებას გავივლით და იქ უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოვაწონებთ თავს. არის შანსი, სამსახურში აგვიყვანონ. მიხარია, რომ „გორგასალი“ ამ შანსს მაძლევს“.**

სადაზღვევო კომპანიების გარდა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ბანკთან, მწარმოებელ კომპანიასთან, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციასთან, ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, ნოტარიუსთა პალატასთნ, პროფესიული განვითარების ევროპულ ცენტრთან, საადვოკატო ოფისებთან.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **ხათუნა ამაღლობელი,** უნივერსიტეტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის: უნივერსიტეტი ფუნქციონირებს 1995 წლიდან. 2005, 2007 და 2012 წლებში წარმატებით გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაციისა თუ ავტორიზაციის ყველა ეტაპი. 2013-2014 წლებში კი პროგრამული აკრედიტაცია. „გორგასალი“ სტუდენტებს სპეციალობების საინტერესო და მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. უნივერსიტეტის დაარსებიდან, წარმატებით ფუნქციონირებს ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი, სადაც ხორციელდება სტომატოლოგიისა და ფარმაციის საბაკალავრო პროგრამები; გახსნილია სტომატოლოგიური კაბინეტიც. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს განუვითაროს სტუდენტს ინგლისური ენისა და ლიტერატურის როგორც პრაქტიკული უნარჩვევები, ასევე მისცეს მას თეორიის საბაზისო ცოდნა; არაქართულენოვან სტუდენტებსაც ეძლევათ განათლების მიღების საშუალება — ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის აკრედიტებული პროგრამაა, რომელიც ორიენტირებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის 1+ დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. ეს აუცილებელია, რათა მათ უნივერსიტეტში სწავლა სასურველი საბაკალავრო პროგრამით განაგრძონ.

**„იმატა ჩვენი უნივერსიტეტის აქტივობებმა სტუდენტურ დღეებზე. გვყავს მხატვრული თვითშემოქმედების დათვალიერების ლაურეატები, სპორტულ ღონისძიებებში, სამეცნიერო კონფერენციებზე გამარჯვებული და პროექტის „სტუდენტის სახე“ პრიზიორი სტუდენტები. ჩვენი სტუდენტების ინიციატივით შეიქმნა მოძრაობა „ახალი საქართველოს სტუდენტური მოძრაობა“, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვაზეა ორიენტირებული. მათთან ერთად დაიგეგმა-განხორციელდა არაერთი საინტერესო შეხვედრა, ექსკურსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „გორგასალი“, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, არაერთხელ ყოფილა სტუდენტური საქველმოქმედო და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზატორი. 2012-14 წლებში, თბილისის სხვადასხვა თეატრში (მათ შორის: თავისუფალი და მოზარდ-მაყურებელთა თეატრები), ჩვენმა სტუდენტებმა არაერთხელ გამართეს თეატრალიზებული სტუდენტური საღამო აფხაზეთის თემაზე. 17 ნოემბერს, უნივერსიტეტში სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება. მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან დედაქალაქის პრესტიჟული საჯარო სკოლების ხელმძღვანელები, წარჩინებულ მოსწავლეებთან ერთად. გაეცნობიან უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებს, დაათვალიერებენ სტომატოლოგიურ კლინიკას, უახლესი სახელმძღვანელოებით მდიდარ ბიბლიოთეკას; მოეწყობა ჩვენი პროფესორების მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია, ასევე გაიმართება სტუდენტების ფოტოგამოფენა. ნაჩვენები იქნება რამდენიმე საკონცერტო ნომერი. ასეთი სახის ღონისძიებები მომავალშიც ჩატარდება, რაც გაზრდის ჩვენი უნივერსიტეტისა და სტუდენტების ცნობადობას საგანმანათლებლო სივრცეში“,** — აცხადებს **მზია ქათამაძე** და იმასაც გვიმხელს, რომ „გორგასალში“ ნოვაციები არასოდეს აშინებთ. ამ ფონზე, უნივერსიტეტი, მომავალშიც არაერთ სიახლეს შემოგვთავაზებს. არაა გამორიცხული, ახალი ფაკულტეტებიც დაემატოს, თუმცა მანამდე, „გორგასალის“ ხელმძღვანელობა კვოტის გაზრდაზე ფიქრობს, მით უმეტეს, პროგნოზი ასეთია — უდავოდ გაიზრდება იმ აბიტურიენტთა რიცხვი, ვინც არჩევანს შეაჩერებს „გორგასალზე“, უნივერსიტეტზე, სადაც „პროფესიონალებს ზრდიან“.

პატიმრის დღიური

# ქართველი პატიმრის ცოლი ბერძნული „ფლეიბოის“ ვარსკვლავი გახდა

პატიმარი №0578

**ციხეში ყველა განსხვავებული თავგადასავლით ხვდება და გამორიცხულია, რომელიმე ამბავი ერთმანეთს ჰგავდეს: ვიღაცას ბავშვობის მეგობარი ღალატობს, ვიღაც საკუთარი სისულელით ვარდება, ვიღაცას თითქოს ყველაფერი გათვლილი აქვს, მაგრამ ეს „თითქოს“ ბოლო მომენტში არ ამართლებს. მერე ინგრევა ოჯახი და ციხიდან გასული პატიმრები ცხოვრებას ნულიდან იწყებენ. ვისაც ამის შნო არ აქვს, ისევ უკან ბრუნდება და ასე, დაუსრულებლად...**



ერეკლე ჯ. თითქოს იმისთვის იყო დაბადებული, რომ კრიმინალი გამხდარიყო. ბიძამისი სამჯერ იყო ნასამართლევი და სამივეჯერ ყაჩაღობისთვის, მამას მკვლელობისთვის ჰქონდა სასჯელი მოხდილი, უფროსი ძმა სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა... ბიძაშვილები, დეიდაშვილები... ყველა „შავი სამყაროს“ გავლენიან წარმომადგენლად ითვლებოდა, თუმცა...

„ჩემი შვილი არ მოიპარავს, არ იყაჩაღებს, არ იქურდებს. ის აკადემიკოსი უნდა გამოვიდეს და ამას მე უზრუნველვყოფ“, — გამოაცხადა ერეკლეს მამამ შვილის დაბადებისდღეს და მართლაც, ჯერ ბაღში, მერე კი სკოლაში მემკვიდრეს საუკეთესო აღმზრდელები დაახვია. ყველა ამბობდა, რომ ერეკლე, ადრე თუ გვიან, მამის გზას დაადგებოდა, მაგრამ უნივერსიტეტში ჩააბარა, საინჟინრო დაამთავრა და ქვეყანაც აირია. ოჯახი აფხაზეთიდან თბილისში გადმოსახლდა, თუმცა ერეკლემ მაინც პატიოსანი ცხოვრება არჩია და მუშაობის პარალელურად, ცოლიც შეირთო. მარი ზედმეტად ლამაზი გოგოც კი იყო იმისთვის, რომ ვიღაც ლტოლვის გაჰყოლოდა, მაგრამ მოსახდენი მოხდა და ერთი წლის შემდეგ წყვილს გოგონა შეეძინა...

რუსთავის №17 ზონაში მიყვანილ პატიმარი №0578 ერეკლეს კარგად იცნობდა და როცა ერთ დღეს ახლადმოყვანილ პატიმრებში ამოიცნო, ძალიან გაუკვირდა. მეორე დღეს ძველმა მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს, ბოლოს კი, №0578-ს გულმა არ მოუთმინა და პირდაპირ ჰკითხა: — რა მოხდა, აქ როგორ? საიდან?! ერეკლემ ერთი ამოიოხრა და დაიწყო:

— პურის ფული გამიჭირდა, ცოლმა და სიდედრმა შემჭამეს, ხელი გაანძრიეო, მაგრამ დამიჯერე, ლაფატკაზე სამუშაოც კი ვერ ვიშოვე. ბიძაჩემს მივადექი, რამე ვქნათ-მეთქი და იმავე ღამეს საყაჩაღოდ წამიყვანა. მამაჩემი ლოგინადაა ჩავარდნილი ავარიის შემდეგ და იმასაც ცალკე წამლები უნდა. ვიყაჩაღეთ, შეგვერგო და ერთი თვე ამოვისუნთქე. ერთი თვის შემდეგ, ისევ საყაჩაღოდ წავედით და დაგვიჭირეს.

როცა „კაპეზეზე“ გადავყავდით, არ ვიცი, საიდან, ბიძაჩემმა სამართებელი დააძრო და პოლიციელს ყელი გამოჭრა. გავიქეცით, მაგრამ ვიცოდი, დარხეული მქონდა — აქეთ ყაჩაღობა, იქეთ პოლიციელის მკვლელობა. ორი კვირა ვიმალებოდით და ნათესავი მოგვიკვდა. აიტეხა ბიძაჩემმა, ქუთაისში უნდა წავიდეთო. არ წავყევი, მარტო წავიდა. იქ დათვრა და უკან რომ ჩამოვიდა, ალბათ, „ხვოსტი“ მოყვა და იმავე საღამოს აგვყარეს... დილით ბიძაჩემი ჩამომხრჩვალი ნახეს „კაპეზეს“ გვერდით ოთახში. ამბობდნენ, თავი მოიკლაო, მაგრამ ხომ იცი, არ იყო ეგ თავის მომკვლელი, თან გამომძიებელმა მითხრა, ბევრს თუ არ გაახურებ, მხოლოდ ყაჩაღობაზე გაგასამართლებთ, იმ პოლიციელის მკვლელობას მაგას შევტენითო. რა მექნა, დავთანხმდი და 8 წელი მაკმარეს. ახლა ვზივარ აქ და იმაზე ვლოცულობ, აქედან რომ გავალ, მარი არ მოვკლა.

— მარის რას ერჩი?

— დამიჭირეს თუ არა, ბავშვი დედაჩემს მიუგდო და თვითონ საბერძნეთში წავიდა. კაცმა არ იცის, იქ რას აკეთებს, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, ეგ არც დამლაგებლად იმუშავებს და არც მოხუცს მოუვლის. ჰოდა, რა დარჩა?!

— კარგზე იფიქრე. რა დარჩა და ათასი რამ. აქ არის, ტვინი რომ გვერევა და მარტო ცუდზე ვფიქრობთ, თორემ გარეთ რა ხდება, კაცმა არ იცის.

***

ამ ამბიდან, დაახლოებით, ერთ წელიწადში №0578-თან რუსლან მ. მივიდა. რუსლანი ერთ-ერთი „მეწველი“ პატიმარი იყო ზონაზე, მშობლები საბერძნეთში ჰყავდა, თავად ნარკოტიკებზე იჯდა და ბარათზე თვეში, მინიმუმ, ხუთასი ლარი ერიცხებოდა. ჰოდა, „კაიბიჭები“ „მეგობრულად“ ართმევდნენ ხოლმე სიგარეტისა და ჩაის ფულს.

„რა მინდა, გთხოვო“, — შეპარვით დაიწყო რუსლანმა და თან ნარზე ერთი კოლოფი ყავა, ერთი კოლოფი ჩაი და ერთი ბლოკი სიგარეტი დადო...

„ჰოდა, რა მინდა გთხოვო, — ისევ დაუმდაბლა ხმას რუსლანმა. ამანათი მომივიდა სახლიდან, აქამდე მოტანილია და ადმინისტრაცია არ უშვებს. უფრო სწორედ, ყველაფერს უშვებს, მაგრამ ჟურნალებს არ უშვებს და იქნებ შენი სვიაზებით გამიხერხო?!“

პატიმარმა №0578-მა ჯერ მოტანილ ძღვენს დახედა, მერე რუსლანს და ხელი მოწყვეტით მოიქნია. ლაწანის ხმაზე კამერაში მყოფებმა გამოიხედეს, მაგრამ ვითომც არაფერიო, თავისი საქმე გააგრძელეს.

„რაღაცას მთხოვ და სიგარეტს და ჩაის მტენი, კაზიოლი გგონივარ, შე ახვარო?!“, — უთხრა პატიმარმა და კამერამ მეორე ლაწანის ხმა გაიგო.

„არა, მე... ისა, უბრალოდ... არაფერი მინდა, ისე გჩუქნი... წამომცდა, რა ჟურნალი... ამანათი კი არა და...“, — დაიბნა რუსლანი.

„ახლა მოკიდე ამათ ხელი, ჩაეთრიე დაბლა, კამერაში, სამი ბედალაგა ზის, იმათ მიეცი, მერე ამოეთრიე ისევ აქ და მოყევი, წეღან რას ყვებოდი. იცოდე, ვკითხავ და იმ უპატრონოებისთვის სულ თუ არ ჩაგიტანია, რაც აქ მოიტანე, შენს თავს დააბრალე“, — უთხრა პატიმარმა და რუსლანიც მორთმეული ძღვენით გაიძურწა, მერე კი, უკან, კამერაში შემოიძურწა.

„ამანათი მომიტანეს და ჟურნალებს არ უშვებენ. მაყურებლებს ვუთხარით და ასე თქვეს, მაგ ჟურნალებს ვერ გაგიმწვანებთ, მძრეველები არ ვართო. „ფლეიბოია“ ბერძნული და კიდევ იქაური კარგი ჟურნალები. ჰოდა, იქნებ შენ შემოაშვებინო“, — ჩაარაკრაკა რუსლანმა და კიდევ ერთი სილა იგემა.

„ანუ მაყურებლებმა, მძრეველები ხომ არ ვართო და შენ გადაწყვიტე, რომ მე ვარ ეგეთი, ხო?!“, — და პატიმარმა რუსლანს უკვე წიხლიც მიაყოლა.

„არა, ეგ არ მიფიქრია“, — იყვირა რუსლანმა, მაგრამ ყვირილი აღარ შველოდა, №0578 გამეტებით ურტყამდა.

მეორე დღეს, რაღაც მანქანებით, რუსლანს ერთი ყუთი ჟურნალი მიუტანეს და მის კამერასთან რიგი დადგა. შიშველი ქალები ბერძნული მედიის გამოცემებიდან მაცდურად იყურებოდნენ. ერეკლე №0578-ის კამერაში იჯდა და ჩაის სვამდა, თან მეგობარს ეხუმრებოდა, რაო, რუსლანმა როგორ გითხრა, მძრეველი ხარო და ხმამაღლა იცინოდა. მალე ჟურნალები მათ კამერაშიც შეიტანეს და პატიმრებმაც ხმამაღლა დაიწყეს იმის განხილვა, ვის როგორი მკერდი და უკანალი ჰქონდა. რეზო №0578-ისა და ერეკლეს წინ ჩამოჯდა და ხმამაღლა დაიწყო ოცნება და ფიქრი იმაზე, თუ რას უზამდა ქალს, რომელიც ჟურნალის ყდაზე იყო გამოსახული.

„რეზო, ახლა აქედან დამეკარგე შენი ჟურნალით და ფანტაზიებით, თორემ რაც იმ დებილს დავაკელი, შენ დაგიმატებ“, — №0578-მა ხმაში მუქარა გაურია და რეზოც მაშინვე წამოდგა, სიჩქარეში კი ჟურნალი ხელიდან გაუვარდა და ერეკლეს ფეხებთან დაეცა. ერეკლემ ღიმილით აიღო ჟურნალი და მოულოდნელად სახე შეეცვალა. შეეცვალა იმდენად, რომ №0578-ს შეეშინდა, ინფარქტი ხომ არ დაემართაო და იყვირა: —ერეკლე, რა გჭირს?!

ერეკლემ ტუჩი მოიკვნიტა, სისხლი გადმოაფურთხა, ჩაის ჭიქა იატაკზე დაანარცხა და კამერიდან გავარდა. №0578 უკან მიჰყვა, თუმცა ერეკლე ვერ შეაჩერა. ის თავის კამერაში შევიდა, რაღაც აბი გადაყლაპა და ნარზე დაწვა.

„რა დალია?!“ — ჰკითხა პატიმარმა იქ მყოფებს.

„ძლიერი დამამშვიდებელი ჰქონდა ერთი აბი და ალბათ, ის გადაყლაპა“, — უპასუხეს ერეკლეს თანასაკნელებმა და №0578 თავის საკანში დაბრუნდა. რეზოს ჟურნალი გამოართვა და გადაათვალიერა. ერთ-ერთ გვერდზე ბარის „სტოიკაზე“ ნახევრად შიშველი ქალი ცეკვავდა. უფრო სწორედ, ქალი ცეკვავდა, რომელსაც მხოლოდ ფეხსაცმელი და ტრუსი ეცვა. პატიმარმა №0578-მა მარი იცნო და ერეკლეს გაცოფების მიზეზსაც მიხვდა. მერე რუსლანთან გავიდა და უთხრა: „შაბათს, უცხოეთში როცა რეკავენ ხოლმე, დარეკავ დილით და შენებს ეტყვი, ამ ჟურნალის ამა და ამ გვერდზე რა წერია. სულ ათი წინადადებაა და მე მეტყვი, მეტს არავის, თორემ მოგკლავ...“

რუსლანმა თავი დაუქნია და შაბათს, საღამოს ჩურჩულით უპატაკა: „მაგ ჟურნალში ასე წერია, ბარის ოფიციანტი დათვრა და ბარის სტუმრებისთვის სტრიპტიზი მოაწყოო. კიდევ ის წერია, რომ მაგ ბარის მეპატრონეს ცოლად უნდოდა და ახლა გარეთ გააგდო, მაგრამ არ დაიკარგება ეგ გოგო, იმდენად ცნობილიაო...“

***

თავისუფლებაზე გასვლიდან ერთ თვეში ერეკლეს მარიმ ჩამოაკითხა. მოურიდებლად უთხრა, ბავშვს აქამდეც მე ვუგზავნიდი ფულს, ახლაც მე გამოვუგზავნი და შენ თუ გინდა, ხის პატარა ცეხს გაგიკეთებ, გავიგე, ციხეში ხეზე მუშაობა გისწავლიაო. ერეკლე დათანხმდა, იმასაც შეეგუა, რომ მისი ცოლი უკვე სხვისი ცოლი იყო და ახლა მარის გამოგზავნილი ფულით ცეხსაც ამუშავებს და შვილსაც ზრდის. მარის კი იმ ჟურნალის ფოტო სოციალურ ქსელში აქვს ატვირთული და ამაყობს კიდეც... და არამარტო ის ერთი ფოტო...

რეფორმა თუ დეფორმა

# მოითმინე, არ მოკვდე — სასწრაფოს დააგვიანდება!

## რატომ იგვიანებს სასწრაფო და ვინ აგებს პასუხს

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**ზარი 112-ში: — გამარჯობა, სასწრაფო დახმარების გამოძახება მინდა... პასუხი: ზარი მიღებულია, მაგრამ ბრიგადას დააგვიანდება 1 საათით... ასეთი პრობლემის წინაშე დგანან საქართველოს მოქალაქეები, ვისაც სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება. არადა, მოქალაქისთვის, რომელიც ცუდადაა და ერთადერთი იმედი სწორედ სასწრაფოა, ერთი საათი კი არა, თუნდაც 10 წუთი ძალიან დიდი დროა და, შესაძლოა, გადამწყვეტიც. რა ხდება, რატომ შეიქმნა მსგავსი პრობლემა და ვინ უნდა აგოს პასუხი დაგვიანებაზე, რომელიც გაჭირვებული ადამიანისთვის შესაძლოა ლეტალური შედეგით დასრულდეს?! — ამ კითხვებით „ვერსიამ“ პასუხისთვის 112-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო მიქაუტაძეს მიმართა.**



„დღე-ღამის განმავლობაში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის მოთხოვნით, გადაუდებელი დახმარების ცენტრ 112-ში დაახლოებით 1 800-მდე გამოძახება შემოდის, პიკის საათები 18:00-დან 24:00 საათამდეა, რა დროსაც თავისუფალი ეკიპაჟების რაოდენობას მკვეთრად აღემატება გამოძახების რაოდენობა. ეს კი, ავტომატურად, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟების დაგვიანებას განაპირობებს. გამოძახების რაოდენობა განსაკუთრებით ვირუსული ინფექციების პერიოდში იმატებს და ამ დროს გამოძახების რიცხვი 2 200-მდეც ადის და გვიანების ხანგრძლიობაც უფრო იზრდება. გამოძახების რაოდენობის ზრდა იმითაცაა გამოწვეული, რომ სასწრაფოს გამოძახება განპირობებულია როგორც გადაუდებელი, ასევე არაგადაუდებელი შემთხვევებით, 2014 წლის 1 იანვრიდან პირველ ნოემბრამდე კი 524 423 გამოძახებაა დაფიქსირებული“, — განაცხადა მიქაუტაძემ.

112-ის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ძალიან ძნელია, ყველაფერი ეს აუხსნა ადამიანს, რომელსაც ერთადერთ ხსნად სასწრაფო ესახება... ფაქტია, 1 800 და მით უმეტეს, 2200 გამოძახებას სასწრაფოს 100-მდე მანქანა ვერ ეყოფა და ამ შემთხვევაში, ექიმებისა თუ ზოგადად ბრიგადის დადანაშაულება დიდი უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ იქნებ, ყური მან უნდა შეიბერტყოს, ვისაც ჯერ არს და დაამატოს მანქანებიც, ბრიგადებიც და სასწრაფო გადაუდებელი სამსახურის გამართული და შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოს.

ნინო მიქაუტაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ **„შარშან თბილისს სასწრაფოს 80 ეკიპაჟი ემსახურებოდა, წელს დაემატა 12 მანქანა და რაოდენობა 92-მდე გაიზარდა, მაგრამ მანქანები გამოძახებისთვის ხშირად მაინც არაა საკმარისი, სწორედ ამიტომ, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოქალაქეს ვაცნობოთ შესაძლო დაგვიანების შესახებ“.**

„გაცნობებთ შესაძლო დაგვიანების შესახებ“ — ფიქრობთ, ეს შვებაა ადამიანისთვის, რომელიც ცუდადაა?!

მოითმინე, არ მოკვდე, სასწრაფო მოვა ერთ საათში...

პაციენტი კი მოითმენს, მაგრამ ცელიანი კაცი, თავზე რომ წამოსდგომია და საიქიოს ეპატიჟება, მოითმენს?!

112-ს ამაზეც აქვს პასუხი: **„112, როგორც გადაუდებელი დახმარების ცენტრი, ვალდებულია, დროულად მიიღოს ზარი, დაარეგისტრიროს საქმე და სწორად განსაზღვროს ეკიპაჟის გასვლა პრიორიტეტის განსაზღვრის წესის გათვალისწინებით“...**

და როგორია ეს „პრიოტირტეტის განსაზღვრის წესი“?.. ახლავე აგიხსნით: რა გაწუხებთ? — ფეხი მოვიტეხე... იცით, კოჭლობით არავინ მომკვდარა, დაიცადეთ, ჯერ ბრიგადა მომაკვდავთან უნდა წავიდეს... ფიქრობთ, ეს შეღავათია მოსახლეობისთვის? არავის ვადანაშაულებთ და არც ვინმეს ნამუსზე აგდებას ვცდილობთ, უბრალოდ, იქნებ, დადგა დრო, ყველაფერს თავის სახელი დაერქვას, ყველამ თავის საქმე გააკეთოს, ძლიერთა ამა ქვეყნისა ერთხელ მაინც იფიქრონ ხალხზე და შემდეგ ითვალონ, ვინ რამდენი მილიონი დახარჯა სამთავრობო ღონისძიებებსა თუ მსოფლიოს უძვირფასეს სასტუმროებში, თორემ იმ ერთ არამშვენიერ დღესაც, როცა თავად დასჭირდებათ სასწრაფოს გამოძახება, პასუხი ასეთი იქნება: „მოითმინეთ, სასწრაფოს დააგვიანდება!..“

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 4 | | | | | | |
| | | | | | 5 | 2 | | |
| 6 | 7 | | 8 | | 3 | 1 | | |
| 8 | | | | 7 | 9 | | 3 | |
| 3 | | | | 5 | | | | 1 |
| | 5 | | 4 | 3 | | | | 8 |
| | | 9 | 6 | | 1 | | 5 | 3 |
| | | 5 | 3 | | | | | |
| | | | | | | 7 | | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 7 | 3 | 9 | 8 |
| | | | 3 | | | 4 | 2 | |
| | | 4 | 1 | | | | | |
| | 1 | | | | | 5 | 4 | 3 |
| | | | | | | | | |
| 9 | 5 | 3 | | | | | 7 | |
| | | | | | 9 | 6 | | |
| | 4 | 1 | | | 2 | | | |
| 6 | 3 | 9 | 5 | | 4 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 5 | | | 3 | 2 | |
| | | | | 9 | | | | |
| | | 9 | | | 2 | 5 | 1 | |
| | | | 7 | | 3 | 2 | | 1 |
| | | 5 | | | | 6 | | |
| 3 | | 2 | 8 | | 6 | | | |
| | 6 | 8 | 9 | | | 7 | | |
| | | | | 3 | | | | |
| | 3 | 1 | | | 5 | | | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 8 | | | 9 | 6 |
| | | | | | 7 | | | |
| 6 | | | | | 2 | 1 | | |
| 3 | | | | | 5 | | 4 | |
| | 1 | | 3 | | 4 | | 5 | |
| | 6 | | 8 | | | | | 7 |
| | | 7 | 2 | | | | | 5 |
| | | | 4 | | | | | |
| 8 | 3 | | | 9 | | | 1 | |

# ყველაზე უჩვეულო რესტორნები



ახალი რესტორნის გახსნა ყოველთვის სარისკოა, დაწესებულებების 60% ხშირად არ მართლებს და 3 წელიწიდაში იხურება. ამ ბაზარზე ადგილი რომ დაიმკვიდრო, ალბათ, ისეთი რამ უნდა მოიფიქრო, კლიენტებმა სხვაგან წასვლაზე აღარც იფიქრონ. მაგალითისთვის რამდენიმე ასეთ რესტორანს გაგაცნობთ:




**სადილი ცაში** — იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი კაბინა ამწეს საშუალებით დიდ სიმაღლეზე, სასურველია ქალაქის ღირსშესანიშნაობებით ცნობილ ადგილას აიტანოთ. კაბინაში ჩასვით გულმაგარი 22 კლიენტი, რომლებიც მზად არიან, სიმაღლის შიში დაივიწყონ, საკუთარ თავს კარგი ღვინით ასიამოვნონ და თან ლამაზი პეიზაჟით დატკბნენ. ასეთ დაწესებულებაში სადილობა ბელგიის ნებისმიერ ადგილას „სულ რაღაც“ 8 ათასი ევრო დაგიჯდებათ, რესტორნის ერთადერთი მინუსი ისაა, რომ უსაფრთხოების სარტყელი უნდა დაიმაგროთ და დანა-ჩანგალი არ უნდა დაგივარდეთ.



**სადილი ტუალეტში** — გაქვთ სურვილი, ისადილოთ დიდ საზოგადოებრივ ტუალეტში? — არავითარი პრობლემა არ არის — იქ კერძები პატარა უნიტაზის მსგავსი ჭურჭლით მოაქვთ.

**სადილი საავადმყოფოში** — ზოგიერთებს იქნებ საღამოს გატარება საავადმყოფოს სტილში მოწყობილ რესტორანში ესიამვნოთ? ასეთ დაწესებულებაში კედლებზე რენტგენის სურათებია გაკრული, სასმელი კი წვეთოვანებით იყიდება. თან მომხიბლავი მედდა-ოფოციანტები გემსახურებიან.

**სადილი წყალქვეშ** — შემთხვევით თუ მალდივის კუნძულებზე აღმოჩნდით, შეგიძლიათ ისადილოთ უჩვეულო რესტორანში, რომელიც წყალქვეშ მდებარეობს. აკრილის გამჭვირვალე შუშისმიღმა წყალქვეშა სამყაროს სილამაზით დატკბებით და თან ერთი წვეთი წყალიც კი არ დაგასველებთ, თუმცა ეს რესტორანი მხოლოდ 14 სტუმარს იტევს.

**სადილი სიბნელეში** — თუკი გსურთ, საკუთარ თავზე გამოსცადოთ, რას განიცდიან უსინათლო ადამიანები ჭამის დროს, მაშინ დაუყოვნებლივ რესტორან „ლე ნუარში“ გაეშურეთ პარიზში ან ლონდონში. აქ მთელი ინტრიგა ისაა, რომ ვერ ხედავ, რა კერძი მოგიტანეს და აქედან გამომდინარე, ახალი შეგრძნებებიც ჩნდება. ჯერ ერთი — ეს საჭმელი შუქზე რომ დაინახოთ, შეიძლება პირი არასოდეს დააკაროთ, მეორეც — თქვენთვის კარგად ნაცნობ და საყვარელ კერძებსაც ამ უკუნეთში სხვა გემო აქვს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 | 7 |
| 5 | 1 | 4 | 2 | 7 | 6 | 3 | 9 | 8 |
| 2 | 8 | 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 |
| 6 | 9 | 1 | 7 | 4 | 2 | 8 | 3 | 5 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 | 1 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 1 | 5 | 9 | 4 | 6 | 7 | 2 | 8 | 3 |
| 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 3 | 9 | 1 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 2 | 8 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 |
| 8 | 9 | 5 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 |
| 2 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 6 | 7 | 3 |
| 6 | 5 | 7 | 2 | 3 | 8 | 4 | 1 | 9 |
| 5 | 4 | 8 | 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 |
| 1 | 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 9 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 8 | 5 | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 1 | 6 | 3 | 5 | 9 | 8 | 7 |
| 5 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 6 | 3 | 1 |
| 7 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 2 |
| 3 | 7 | 6 | 2 | 1 | 9 | 4 | 5 | 8 |
| 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 | 9 | 5 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 4 | 2 | 3 | 7 | 6 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 6 | 1 | 2 | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 2 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 3 | 2 | 5 | 6 | 9 | 8 | 4 | 7 | 1 |
| 1 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 7 | 4 | 2 | 9 | 8 | 1 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 | 4 |
| 2 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 |
| 5 | 7 | 4 | 9 | 1 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 | 1 | 2 | 9 |

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 2 | 9 | 1 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 6 | 3 | 4 | 1 | 2 | 8 | 9 | 5 | 7 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 4 | 7 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 2 | 4 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 7 | 6 | 3 | 9 | 1 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 9 | 3 | 1 | 4 | 6 | 5 | 8 | 7 |
| 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 6 | 3 | 5 | 7 | 4 | 8 | 2 |
| 2 | 3 | 4 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 6 |
| 7 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 3 |
| 3 | 6 | 8 | 9 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 6 | 3 | 8 | 5 | 7 |
| 6 | 4 | 9 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 6 | 9 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 6 |
| 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 |
| 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 3 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. ახალუხი; 2. ხარიპარია; 3. ლუკა; 4. ხატაეთი; 5. ფორმოზა; 6. ორთი; 7. მანათი; 8. ზეთი; 9. უპე; 10. ეისებიო; 11. იოკო; 12. შტეკერი; 13. რეი; 14. ათინათი; 15. უსენი; 16. „ოლესია“; 17. აბულია; 18. ლარინგიტი; 19. ბაო; 20. უთო; 21. ბალისტა; 22. არსაკიძე; 23. თოლია; 24. აგვისტო; 25. ინციზია; 26. ორდალია; 27. ლუსონი; 28. იერო; 29. კრაინა; 30. ძელი; 31. სფინქსი; 32. გრიგორი ლეპსი; 33. იქსი; 34. ტევრი; 35. კლიფსი; 36. სუვენირი; 37. ბაქმბა; 38. აკმე; 39. პაბი; 40. ანტონ; 41. გუი; 42. ტო; 43. „ავეო“; 44. ნირი; 45. დაბა; 46. ირანი; 47. უნო; 48. ატიპია; 49. ამილაზა; 50. აპოგეა; 51. რიდი; 52. ლა; 53. პასი; 54. სირ; 55. ქორო; 56. ლიმა; 57. ბრი; 58. მარტინი; 59. ასლი; 60. ხაო; 61. „იამაჰა.

მე-12 გვერდი: 1. კვართი; 2. ველური; 3. „რეინჯერსი“; 4. კვინტა; 5. ვარშავა; 6. ნარტა; 7. შლეიფი; 8. ილინოისი; 9. ირიტაცია; 10. პრერია; 11. სირიუსი; 12. ნარტა; 13. მითი; 14. ავი; 15. ბრიჯი; 16. რეპლიკა; 17. ტიარა; 18. დრამი; 19. ირი; 20. დრელი; 21. ისიანი; 22. ასკერი; 23. კრკი; 24. ფამილარული; 25. სპორა; 26. დუნსტი; 27. ოჰაიო; 28. სიმინდი; 29. სკუფია; 30. ცა; 31. ამტი; 32. ძიგორო; 33. კასრი; 34. აბი; 35. ორატორია; 36. ქრისტიანია; 37. სპიტაკი; 38. პა; 39. სნო; 40. ეირე; 41. ინი; 42. კამიკაძე; 43. კამელოტი; 44. პროსტი; 45. ესპერანტო; 46. ტირე; 47. პტაჰი; 48. არი; 49. ბადრაგი; 50. ტაივანი; 51. ტირე; 52. ბრა; 53. კალა; 54. ოსტერია; 55. პინტა; 56. ლია; 57. სტოპერი; 58. ალასკა; 59. ზიზუ; 60. ოთურმა; 61. ოტო; 62. იბერია; 63. მერი; 64. ფიფა; 65. „რევიზორი“; 66. ფიონა; 67. ნიტი; 68. ქვითინი; 69. ობი; 70. „ლოლიტა“; 71. ინი; 72. „ქვინი“; 73. აზუა; 74. კუპე; 75. ელ; 76. ტონა; 77. სოვერენი; 78. კაა; 79. დონი; 80. რუნი; 81. კოკი; 82. კირილე; 83. პენი; 84. დუ; 85. ბაჟე; 86. კივუ; 87. „კია“; 88. ია.



1. ეთიოპიის არაოფიციალური სახელწოდ.
2. სამკურნალო მცენარე
3. ტროას აღმომჩენი არქეოლოგი
4. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
5. ღმერთების შიკრიკი ბერძნულ მითოლოგ.
6. ჰოლივუდის მსახიობი ... სმიტი
7. დამუხტული ატომი
8. ნიკარაგუას დედაქალაქი
9. ღომის ამოსაზელი ჩოგანი
10. რუსული ხალხური საკრავი
11. ბრინჯაო ძველ ქართულში
12. ასტრონომიული კუთხე
13. ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში
14. სამეურნეო მუშაკი
15. ვეშაპის თავიდან მიღ. ცვილისებური ნივთიერება
16. ყურძნის მცენარე
17. შინაგანი ორგანო
18. იუდეის მეფე
19. სესხის უზრუნველს. დატოვებული ნივთი
20. იგივეა, რაც ჟარგონი
21. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
22. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
23. ისრაელის პრემიერ-მინისტრი
24. სიგრძის ერთეული ზღვაოსნობაში
25. ფრიქსეს და ბერძნულ მითოლოგ.
26. სასვენი ნიშანი
27. თვითმფ. სადგომი
28. გემის ბორტი
29. ქსელის მთავარი კომპიუტერი
30. ქალაქი დასავლეთ რუსეთში
31. V თითი
32. მიწის საზ. ერთ. ინგლისში
33. განხეთქილების ქალღმერთი
34. თმის მცენარეული საღებავი
35. იგივეა, რაც ჭალი
36. ქართული ანბანის ბოლო ასო
37. საუბარი ორ პირს შორის
38. პაპიას ქალიშვილი „გლახის ნაამბობში“
39. უდანაშაულობის დამამტკ. საბუთი
40. მოძღვრ. დაავადებათა მიზეზების შესახებ
41. შოლომ-ალეიხემის მერძევე
42. ანტილოპას სახეობა
43. არქიმედეს წამოძახილი
44. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
45. გამლილვარჯიანი ტანმაღალი ხე
46. პატარა საწნახელი
47. მთიანი მხარე რუსეთში
48. სოფლური ქოხი შვეიცარიაში
49. ბერძნული ანბანის ასო
50. განგის „მეწყვილე“ მდინარე
51. ზევსის დედა
52. ესპანური ფეხბურთის გრანდი
53. ავსტრიის დედაქალაქი
54. ათოსის ყოფილი მეუღლე
